პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 ივნისი **შაბათი** 2012 **№147 (13 753)** ფასი 80 თეთრი

| გერმანია | საბერძნეთი |
| --- | --- |
| 4 | 2 |

# ელინთათვის ოდისეას სცენარით: საბერძნეთი ოთხთვალა სცილამ შეჭამა

## გერმანელთათვის ზღაპრულად: ტკბილი ფაფა

8-10



გერმანელები ნახევარფინალში გასვლას ზეიმობენ

# შესძლებია!

## ბოლოს და ბოლოს: მეფე ლებრონმა NBA-ს გვირგვინი დაიდგა

მაიამი ჰითმა ოკლაჰომა სითის NBA-ს ფინალში 4:1 მოუგო, ჯეიმსმა კი საჩემპიონო ბეჭედი მესამე ცდაზე მოირგო

15



ლებრონ ჯეიმსსა და გახარებულ მაიამელებს ჩემპიონობას ლეგენდარული ბილ რასელი ულოცავს

# ყენია ზენიტის ობიექტივში

## ქართველ ნახევარმცველს სანკტ პეტერბურგში, ლუჩიანო სპალეტისთან გადასვლას უწინასწარმეტყველებენ

3



## მიაღწევს ყენია ზენიტში კარიერის ზენიტს?

5-6

# უქმეების საფეხბურთო ზეიმი: ესპანეთი საფრანგეთის, იტალია ინგლისის წინააღმდეგ

დღეს: დონეცკი 22:45

ესპანეთი VS საფრანგეთი

ხვალ: კიევი 22:45

ინგლისი VS იტალია

11



## ჭაბუკების წარმატებული სტარტი

2 ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო, 6 შესაძლებლიდან 4 მედალი - ასე დამაჯერებლად დაიწყო გამოსვლა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ჩერნოგორიულ ბარში, ევროპის ჭაბუკთა პირველობაზე. კონტინენტის ჩემპიონები **ერეკლე არხოზაშვილი** (50) და **კობა მჭედლიშვილი** (60) გახდნენ, **ბექა ნათართალაშვილი** (55) ფინალში დამარცხდა, **გიორგი კაციაშვილი** (55) კი მესამეზე გავიდა. ჩვენი გუნდის კიდევ ორი წევრიდან **ბექა უდესიანი** (60) მეშვიდეზე გავიდა, **ირაკლი კუპატაძე** (50) კი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სტუმარი

არჩილ არველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესი და 15 საათი

## საქართველოს ჩემპიონატში არ არსებობს გუნდი, რომელსაც ჩაწყობილი თამაში არ უთამაშია

"ლელოს" ქართული ფეხბურთის რედაქციის სტუმარი ამჯერად არჩილ არველაძე გახლავთ, საქართველოს ნაკრების, თბილისის "დინამოს", "ტრაბზონსფორის", "ბრედას" და "კიოლნის" ყოფილი ფეხბურთელი. ტყუპისცალ არველაძესთან საუბარი მინორული თემით დავიწყეთ, მერე კი აქეთურ-იქეთურზე გადავედით...



- რამაზ შენგელია მართლაც ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო, 21 წლისა უკვე საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რამდენს ნიშნავდა ასეთი აღიარება, ქართველი სხვაზე ორი თავით მაღლა უნდა მდგარიყო, ასე რომ დაეფასებინათ. უნაკლო საგოლე ალღო ჰქონდა, თავით ჩინებულად თამაშობდა, მოდრიბლინგე თავდამსხმელი არ ეთქმოდა, თუმცა ერთი მეტოქის მოტყუება მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. დასწრებაზე თამაში მისი კოზირი იყო, ბოლო დარტყმას უნაკლოდ ასრულებდა. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე უდროოდ დაიღუპა.

**- ასეთი რანგის თავდამსხმელი ახლა ალბათ ყველაზე უფრო სჭირდება საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. ფაქტია, ბოლო პერიოდში სანაკრებო დონის ცენტრფორვარდი საქართველოსთვის პრობლემატური პოზიციაა...**

- ლადო დვალიშვილის თამაშს კლუბში რომ ვუყურებ, ყველაფერს კარგად ასრულებს, კარისკენ ზურგით მდგომი ილებს ბურთს, გოლები გააქვს, ნაკრებში კი რა ემართება, ვერ გეტყვით. არიან ფეხბურთელები, კლუბში კარგად რომ თამაშობენ, ნაკრებში კი ეს არ გამოსდით. დავით სირაძე არ არის ისეთი თავდამსხმელი, ბურთი რომ დაიჭიროს და ასე ვთქვათ, გუნდი ამოიყვანოს, სამაგიეროდ თავით ჩინებულად თამაშობს და სხვა კარგი თვისებებიც აქვს. ლევან მჭედლიძე ლამის სულ ტრავმირებულია, თორემ დიდი სარგებლობის მოტანა რომ შეუძლია, თქმა რად უნდა. კლუბში ყველაზე სტაბილურად მაინც დვალიშვილი თამაშობს და თემურ ქეცბაიაც მას ეყრდნობა.

**- ქეცბაიამ ერთხელ ისიც კი თქვა, შემტევი ფეხბურთელების მხრივ პრობლემა გვაქვსო – ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?**

- ზოგადად არის ფეხბურთელების პრობლემა. ადრე არჩევანი უფრო მეტი იყო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქეცბაია არ ეძებს ნაკრებისთვის საინტერესო ფეხბურთელებს. როცა ნაკრებს არ ჰყავს ანანიძე ან ყენია, ბურთის დაჭერა და გათამაშება ძნელდება, ამ საქმეს მხოლოდ სანდრო კობახიძე და დავით თარგამაძე არ ყოფნის. მწვრთნელი თავისებურ ჭრილში უყურებს ყველაფერს, მერწმუნეთ, მარტივი არ არის გუნდის შენება.

**- "კაისერისფორიდან" გქონდა შეთავაზება – რა გადაწყვიტე?**

- 26 ივნისს ჩავალ თურქეთში და ერთხელაც დაველაპარაკები კლუბის ხელმძღვანელობას. "კაისერი" ახალ აკადემიას აყალიბებს და ჩემს იქ შესაძლო მისვლაზეა ლაპარაკი.

**- აკადემიის ხელმძღვანელობა ერთია, მწვრთნელობა კი სულ სხვაა – არ გიფიქრია ამაზე?**

- A ლიცენზია მაქვს და ხანდახან ძალიან მომინდება ხოლმე მწვრთნელობა. ჩემს ძმას, შოთას რომ ვუყურებ, ვხვდები, რომ არ მაქვს ყველა ის უნარი, რაც მწვრთნელისთვის აუცილებელია, მაგალითად, ძალიან ემოციური ვარ...მიფიქრია იმაზე, შოთას ასისტენტობით ხომ არ დამეწყო-მეთქი მწვრთნელობა, მაგრამ იმაზეც დავფიქრებულვარ, შოთა ჯერ დამწყები მწვრთნელია და ხელი არ შევუშალო-მეთქი. ახლა ჩემი ტყუპისცალი მესამე სეზონს დაიწყებს მთავარი მწვრთნელის რანგში და დამწყები უკვე აღარ ეთქმის...

**- შოთას რომ შესთავაზონ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა, რას ურჩევდი?**

- ძალიან ძნელი სათქმელია...როცა ქეცბაიას შესთავაზეს ეს, მე, ჩემი უფროსი ძმა, ქეცბაია და ცხადაძე ერთად ვისხედით და ამ საკითხზე ვსაუბრობდით. როცა საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გახდები, რაღაც მინუსი ყოველთვის გაგიჩნდება. საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, ქეცბაიამ შეძლო და ეს ტვირთი აიღო, ეს მართლაც არ იყო ადვილი გადაწყვეტილება,თანაც ისეთი ემოციური კაცისთვის, როგორიც ქეცბაიაა. მეორე მხრივ, თუ მწვრთნელობაზე გაქვს პრეტენზია, ასეთ შემოთავაზებაზე უკან არ უნდა დაიხიო, გამოწვევა უნდა მიიღო. ძმები არველაძეები ფეხბურთელობისას ასე მოვდიოდით –ან საუკეთესო უნდა იყო ამ საქმეში, ან სულ არ უნდა იყო აქ. შოთა "ალკმაარში" რომ მუშაობდა დიკ ადვოკაატის თანაშემწედ და "კაისერი" ინვევდა, ადვოკაატი ჩაერთო საუბარში და უთხრა, უნდა წახვიდე, "კაისერში" ისეთი რა უნდა მოხდეს, რომ მერე ველარ შეძლო წინ წასვლა, შენ ხომ უკვე შექმნილი გაქვს საკუთარი თავიო. ერთი სიტყვით, თუ მწვრთნელი ხარ, სანაკრებო ამბიციაც უნდა გქონდეს.





**- "დინამო" შენთვის განსაკუთრებულად ძვირფასია და რას გვეტყოდი იმაზე, რაც ბოლო დროს მოხდა ამ გუნდში?**

- წინა სეზონი "დინამომ" კარგად დაიწყო და არ ჩანდა იმის საფუძველი, რომ ალექს გარსია ასე დაამთავრებდა "დინამოში" მუშაობას. ჩემი აზრით, ჰოლანდიელი სპეციალისტის მოწვევა ჯობდა, რადგან ჰოლანდიელი მოწესრიგებულია და თან სამხრეთულთან მიახლოებულ სტილს ანიჭებს უპირატესობას. ვფიქრობ, ზურაბ პოლოლიკაშვილი ძალიან კარგი მენეჯერია, ოღონდაც "დინამოს" მიმართ ყურადღება ყოველთვის მძაფრია...გარსიას მერე გიორგი დევდარიანი გახდა "დინამოს" მწვრთნელი და თამაში არ წაუგია, მიმაჩნია, რომ შუა გზაზე დევდარიანის შეცვლა არასწორი გადაწყვეტილება იყო. ისე, შვიდი თამაშიდან ერთი მწვრთნელის გარეშეც უნდა მოიგონ ფეხბურთელებმა...

**- ახლახან აქტუალური გახდა პრემიების საკითხი ეროვნულ ნაკრებში...**

- უპრემიოდ არ ვითამაშებთ – ასეთი რამე საქართველოს ნაკრებში არასდროს ყოფილა, თუმცა ნაკრებში პრემიების სისტემა რომ იყოს, ამას მხარს ვუჭერ, მეტი სტიმული იქნება.

**- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე რამდენად ხშირად დადიხარ?**

- რაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო მატჩების პირდაპირი ტრანსლირება, უფრო ხშირად დავდივარ. ახლა სერიოზული პროექტი მზადდება და ვფიქრობ, საქმე წინ წავა.

**- რაც წინა სეზონში მოხდა საქართველოს ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში, ამაზე რას იტყოდი?**

- საქართველოს ჩემპიონატში არ არსებობს გუნდი, რომელსაც ჩაწყობილი თამაში არ უთამაშია და კლუბები სხვისკენ ხელს ნუ გაიშვერენ.

**- ევროპის ჩემპიონატზე დაგვრჩა სიტყვა სათქმელი...**

- ბოლო წლებს თუ გადავხედავთ, ეს ევროპის ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ყურებადია. ინტენსიური სეზონის შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე თამაში სერიოზული დატვირთვაა, მაგრამ თუ დიდი ფეხბურთელი ხარ, ნაკრებშიც უნდა მიაღწიო წარმატებას. მესის თურმე 15 საათი სძინავს დღეში, წინა სეზონი შეუცვლელად ითამაშა და თან სულ უხარია მოედანზე გასვლა და თამაში. მესის და "ბარსელონას" მერე ძნელია სხვა თამაშების ყურება...

დავით თავართქილაძე

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

---

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

## ბლოხინზე მეტი...

**ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი**...ძლევამოსილი "დინამოს" შემადგენლობას **რამაზ შენგელიაც** გამოაკლდა.

მე თუ მკითხავთ, ყველაზე ლამაზი, ვარსკვლავური მსოფლიოს ჩემპიონატი 1982 წელს იყო. შენგელია **ალან რაფის** წინააღმდეგ, გაბითურებული მეკარე და ბურთი ბადეში. შენგელიას ის გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა, შოტლანდიასთან ნათამაშევი 2:2-ით საბჭოთა კავშირის ნაკრები მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ასეთი მეგოლეები იშვიათად იბადებიან, ის, რაც შენგელიას ჰქონდა, ან გაქვს, ან არ გაქვს, ამის ვარჯიშით მიღწევა შეუძლებელია.

ყველაზე დიდი საბჭოთა ვარსკვლავი ალბათ **ოლეგ ბლოხინი** იყო, შენგელიასაც იმ პერიოდში მოუნია ფეხბურთელობამ და იყო არაერთი სეზონი, ბლოხინზე მეტი გოლი რომ გაჰქონდა.

გოლის გატანა შენგელიას ხელობა იყო, ოღონდაც ამ საქმეში მაშინ ძალიან ცოტა ფულს უხდიდნენ საბჭოთა ფეხბურთელებს, უცხოურ კლუბებშიც არ უშვებდნენ.

1987 წელს შენგელიამ **ოტო რეჰაგელის** "ვერდერს" გოლი ბრემენში გაუტანა. ეს შენგელიას ბოლო მნიშვნელოვანი გოლი იყო, ოღონდაც არ ვიცი, სად შეიძლება ამ გოლის კიდევ ერთხელ ნახვა. არადა ასეთი გოლები ყველა თაობას უნდა ჰქონდეს ნანახი.

შენგელიას შეეძლო, წინა ძელთან გასულიყო და თავით ბურთი კარში უცნაურად ჩაეჭრა. ეს მისი ერთ-ერთი საფირმო ილეთი იყო. წლები გავიდა, მაგრამ იმავეს გამკეთებელი ქართველი თავდამსხმელი არ გამოჩნდა.

შენგელიამ კარგად იცოდა, როგორ გახსნილიყო და როგორ ექცია გოლად ყიფიანის ფილიგრანული პასი.

შენგელიამ დიუსელდორფში **ვლადიმერ გუცაევს** გაატანინა გამთანაბრებელი გოლი. 1982 წელს ბრაზილიასთან საჯარიმო მოედანში წააქციეს და პენალტი არ დანიშნეს...

ის არ იყო ახმახი და არც ძალიან სწრაფი, მაგრამ თავს არავის დააჩაგვრინებდა, საგოლე ალღოსა და გოლის გატანის ტექნიკაში ბადალი ძნელად მოეძებნებოდა.

ზოგი ტელეარხის საინფორმაციო გამოშვებისთვის შენგელიას გარდაცვალება არ ყოფილა მთავარი ამბავი, ალბათ იმიტომ, რომ დღეს სხვანაირ გმირებს ეძებენ...

შენგელია კი თხემით ტერფამდე ნამდვილი იყო.

### ძალაუფლება საბჭოებს!

საქართველოს ჩემპიონატს პროფლიგა ჩაატარებსო, ასე გამოგვიცხადეს ქართული ფეხბურთის მესვეურებმა და ჩვენც დავუჯერეთ. გულუბრყვილობა იმათაც გამოუვიდათ, პროფლიგის პრეზიდენტის არჩევნებისთვის რომ დაიწყეს მზადება. მერე კი გვითხრეს - არა, ჩემპიონატი ისევ ფედერაციამ უნდა ჩაატაროსო.

ქართულმა საფეხბურთო ელიტამ კიდევ ერთხელ ჩააყენა საკუთარი თავი სასაცილო მდგომარეობაში. კი ბატონო, ამ ყველაფერს უკვე შეჩვეულები ვართ, მაგრამ ამდენი სისულელე უკვალოდ რომ არ ჩაივლის, წყალი არ გაუვა.

პროფლიგის შექმნის იდეა ამჯერადაც არ მოდიოდა კლუბებიდან, წინა სეზონი სამარცხვინო რომ გამოდგა, პროფლიგის თემა თითქოს სიტუაციის დასაშოშმინებლად შემოაგდეს. უარყოფითი მუხტიც თითქოს განელდა და აჰა, ჩემპიონატი ისევ ფედერაციის იქნებაო.

კლუბებს საპრიზო ფონდს ჰპირდებიან – ორი მილიონი ლარი ქუჩაში არ ყრია და ფედერაცია ამ თანხას სავარაუდოდ სახელმწიფოსგან მოინაგრებსო. ორი მილიონი თავისუფლების ნაცვლად, ორი მილიონი და მართვის ისევ მონოპოლიური სტილი.

ბიუჯეტი მსაჯებსაც გამოუყვეს – ერთი მილიონი ლარი, არც ესაა პატარა საქმე.

ასეა თუ ისე, ფული რომ მოდის, წარმატებაც თან უნდა მოჰყვეს. ამ სამი მილიონის შოვნა პროფლიგასაც შეეძლო თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო პროფლიგის მიმართაც იქნებოდა გულუხვი. ეს მილიონები ტელეტრანსლაციებიდან და სპონსორული შემოსავლებიდან რომ მოდიოდეს, მყის გააპიარებდნენ. ეს რომ კერძო ინვესტიცია იყოს, კლუბებს ჯერ პროფლიგისკენ არ უბიძგებდნენ და მერე ისევ აქეთ არ წამოიყვანდნენ. კლუბებს აქეთ-იქეთ სულ სხვა ხელი ათამაშებს და ჩნდება კითხვა, სად გაქრა თავმოყვარეობა?

ჰო, მართლა – უმაღლესი ლიგის კლუბების საკონსულტაციო საბჭო შეიქმნება და კარგადაც მოუხდებოდა დროში გამობრძმედილი სლოგანი: ძალაუფლება საბჭოებს!

სხვა რა გითხრათ, რუსეთი ევროპის ჩემპიონატიდან კი გავარდა, მაგრამ იქაური მედია არ შერცხვა, "მოსკოვსკი კომსომოლეცმა" პირველ გვერდზე ნაკრებელთა ფოტოს მყვირალა სათაურიც უთავაზა: Уроды!!!

და, საითკენ მივდივართ ჩვენ?



რამაზ შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დინამო

# დუშან უჰრინი: დინამო დიდი გუნდია!

**გუშინ საქართველოში თბილისის "დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელი, 45 წლის დუშან უჰრინი-უმცროსი ჩამოვიდა. გუნდის პრესსამსახურის ცნობით, ჩეხი სპეციალისტის ხელმძღვანელობით დინამოელები ახალი სეზონისთვის მზადებას 24 ივნისიდან დილმის ბაზაზე შეუდგებიან.**

გუნდი ახალი მწვრთნელის პრეზენტაციასა და პრესკონფერენციას 26 ივნისისთვის ამზადებს. ამავე დღეს დუშან უჰრინი "ვიტ ჯორჯიასთან" საკონტროლო მატჩში "დინამოს" მოედანზე პირველად გაიყვანს.

"დინამო" სამ შეკრებას გაივლის - თბილისში, ბაკურიანსა და სლოვენიაში. "დინამოში" შვილთან ერთად იმუშავებს უფროსი **დუშან უჰრინიც**, რომელიც იქნება კლუბის კონსულტანტი და "დინამოს" ახალგაზრდულ გუნდებსა და სელექციასაც მიხედავს. სავარაუდოდ, უფროსი უჰრინი "დინამოს" სლოვენიაში შეუერთდება და თბილისში კლუბთან ერთად ჩამოვა.

მანამდე კი ჩეხმა სპეციალისტმა "დინამოს" პრესსამსახურთან შემდეგი კომენტარი გააკეთა: *"მოხარული ვარ თბილისში რომ ჩამოვედი. აქ ულამაზესი ბაზა დამხვდა. შემიძლია ვთქვა, რომ "მლადასა" და "პოლიტექნიკაში" ასეთი პირობები ნამდვილად არ ყოფილა. თბილისის "დინამო" თავისი ისტორიით და ტრადიციით დიდი გუნდია. ამ გუნდის შესახებ ბევრი რამ მამაჩემისგან ვიცი, ვისი მწვრთნელობის დროსაც "დინამომ" ჩემპიონობა მოიპოვა. პირველად მოხდა, რომ თბილისელები ევროთასების გარეშე დარჩნენ და მდგომარეობა აუცილებლად გამოსასწორებელია. ორ დღეში დავიწყებთ მზადებას და შევაფასებთ ფეხბურთელების მომზადების დონეს. ჩვენი მთავარი მიზანი წარმატებული სეზონის ჩატარებაა და ამისთვის დიდი შრომა მოგვიწევს".*



დუშან უჰრინს საქართველომდე სამ ქვეყანაში უმუშავია: ავარჯიშებდა პრაღის "ბოჰემიანსს" (2002-2004), ბოლესლავის "მლადას" (2004-2007, 2009-2010), ტიმიშოარას "პოლიტეხნიკას" (2007-2008, 2010-2011), "კლუჟს" (2008-2009), ლიმასოლის აელ-ს (2010).

უმცროსმა უჰრინმა მოახერხა სახელიანი მამის ჩრდილიდან გამოსვლა და დაამტკიცა, რომ მისი საქმე გაჭირვებაში მყოფი კლუბების "მკურნალობაა". "მლადა" 2004 წელს ჩაიბარა, როდესაც გუნდი ჩეხეთის უმაღლესი ლიგიდან ვარდებოდა. გუნდს ლიგაში ადგილი შეუნარჩუნა, მეორე სეზონში კი "მლადა" ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი გახდა და უეფას თასზე გავიდა, სადაც უდიდესი სენსაცია გამოაცხო – ჩეხებმა გზიდან მარსელის "ოლიმპიკი" ჩამოიშორეს.

უჰრინს სოლიდური მწვრთნელის რეპუტაცია ჩამოუყალიბდა. ჩეხმა სპეციალისტმა სასწაული მოახდინა რუმინულ "პოლიტეხნიკაშიც" - 2008-09 წლების სეზონში ტიმიშოარულელები პირველად მოხვდნენ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ კლუბის ახირებულ მეპატრონესთან კონფლიქტის გამო, პოსტიდან გადადგა.

რუმინელები შეცდომას მალე მიხვდნენ, ორ წელიწადში უჰრინი უკან იხმეს და ისევ შთამბეჭდავი შედეგი აჩვენა: 2010–2011 წლებში "პოლიტეხნიკა" ვიცე-ჩემპიონი გახდა, მაგრამ ფინანსურ პრობლემებში ჩავარდნილმა კლუბმა ლიცენზირება ვერ გაიარა, ქვედა ლიგაში დააქვეითეს და ერთი წლის წინ, 27 ივნისს უჰრინმა კლუბი დატოვა.

მას შემდეგ სასურველ წინადადებას ელოდა. როგორც ჩანს, თბილისის "დინამო" ჩეხის გადაბირების მსურველთა შორის ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი კლუბი აღმოჩნდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ხმაურიანი ტრანსფერი


ლევან ყენია

# ყენია რუსთა ჩემპიონთან

**ლევან ყენიას** სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი" ეპატიჟება და საქმეს ბეჭედი დღე-დღეზე დაესმება.

ყენია ახლა გერმანიაშია და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. მისი და "ზენიტის" მოლაპარაკების ამბავი კი ყენიას ოჯახის ერთ-ერთმა წევრმაც დაგვიდასტურა.

ყენია 2008-12 წლებში გელზენკირხენის "შალკეს" ფეხბურთელი იყო, თუმცა ტრავმებმა გააწამეს და მისი გერმანული კარიერა ვერ შედგა.

"ზენიტი" ყენიათი ჯერ კიდევ მაშინ დაინტერესდა, სანამ ის თბილისის "ლოკომოტივიდან" გერმანიაში წავიდოდა. მოკლედ, პიტერელები ყენიას კარგად იცნობენ და ხელახლა სურთ მისი აყვანა.

21 წლის ყენია ახლა თავისუფალი აგენტია და საქმეს ალბათ ესეც აადვილებს. ერთი სიტყვით, დიდი შანსია, რომ ლევანი ზენიტელი გახდეს. "ზენიტი" რუსეთის მოქმედი ჩემპიონია, ოთხი წლის წინ უეფას თასი და სუპერთასიც მოიგო, გუნდს "გაზპრომი" პატრონობს და ცნობილი იტალიელი სპეციალისტი **ლუჩიანო სპალეტი** წვრთნის. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ყენიას ჩინებული პერსპექტივა გაუჩნდა.

**დავით თავართქილაძე**




საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 55 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი

**რამაზ შენგელია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, მთელ ქართულ საფეხბურთო სამყაროს.

---

ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ და საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ლეგენდარული ფეხბურთელისა და ბრწყინვალე პიროვნების, საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის

**რამაზ შენგელიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ვეტერან ფეხბურთელებს, ფეხბურთის გულშემატკივრებს, სპორტულ სამყაროს.

---

საფეხბურთო კლუბი „დილა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ფეხბურთელისა და შესანიშნავი ადამიანის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცის საპატიო ვიცე-პრეზიდენტის

**რამაზ შენგელიას**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

---

მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის ფედერაცია და მცხეთის მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ წარსულში ცნობილი ფეხბურთელის

**რამაზ შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

საჩხერის საფეხბურთო კლუბი „ჩიხურა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის

**რამაზ შენგელიას**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია უერთდება საერთო მწუხარებას შესანიშნავი ფეხბურთელისა და პიროვნების, ქართული საფეხბურთო ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წევრის

**რამაზ შენგელიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შპს ს/კ „ზესტაფონი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის

**რამაზ შენგელიას**

გარდაცვალების გამო. უსამძიმრებს ოჯახს და მთელ ქართულ საფეხბურთო სამყაროს.

---

სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების ოფისი საქართველოში ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბრწყინვალე ფეხბურთელისა და პიროვნების, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბომბარდირის

**რამაზ შენგელიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „სპარტაკი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის

**რამაზ შენგელიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

● სიახლე

# მცირე ცვლილებები საფეხბურთო წესებში

**ფეხბურთის ასოციაციის საერთაშორისო საბჭომ (IFAB), რომელიც ფეხბურთის წესებს ადგენს და მასში ცვლილებების შეტანაც შეუძლია, საზოგადოებას რამდენიმე ცვლილების შესახებ ამცნო. ცვლილებათა დიდი ნაწილი უმნიშვნელოა და ამიტომაც მხოლოდ შედარებით საყურადღებო სიახლეებს გაგაცნობთ.**

ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ ფიფას ეგიდით ჩატარებულ ნებისმიერ ტურნირზე ნაკრებებს უფლება მიეცათ, სამატჩო განაცხადში 23 ფეხბურთელი შეიყვანონ. თუკი აქამდე ეს მხოლოდ მსოფლიოს, ევროპისა თუ სხვა კონტინენტების პირველობების ფინალურ ტურნირებზე იყო დაშვებული, ამიერიდან შესარჩევ ეტაპზეც იქნება ნებადართული.

შესაბამისად, შემოდგომიდან მოყოლებული, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების სათადარიგოთა სკამზე, შესაძლოა, 12 ფეხბურთელი ვიხილოთ. აქვე გეტყვით, რომ ეს გუნდის მხოლოდ უფლებაა და არა – მოვალეობა. ფიფა ნაკრებებს მხოლოდ სამი სათადარიგო მოთამაშის ყოლას ავალდებულებს.

ფიფასა და IFAB-ის განმარტებით, ეს ცვლილება ხელს შეუწყობს ნაკრებში გამოძახებულ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, უფრო მეტი დრო გაატარონ გამოცდილ მოთამაშეებთან და მათი გამოცდილება გაიზიარონ.

კიდევ ერთი საინტერესო სიახლე კი ის არის, რომ მსაჯებს საერთაშორისო თუ ნებისმიერი ქვეყნის შიდა პირველობაზე ნება დაერთოთ, გამოიყენონ აქროლადი ქაფი, რომლებსაც წლებია, არბიტრები სამხრეთ ამერიკაში იყენებენ საჯარიმო დარტყმისას 9,15 მეტრიანი დისტანციის მოსაზომად.

ფიფამ და IFAB-მა დაასკვნეს, რომ ეს საშუალება ეფექტურად მუშაობს და ფეხბურთელთა შორის ნაკლებ გაუგებრობასა და კამათს იწვევს. ქაფის დაბალი საბაზრო ღირებულების გამო იგი ნებისმიერი ფედერაციისთვის ხელმისაწვდომი იქნება, თუმცა ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ მისი გამოყენება ნებაყოფლობითია. ამაზე ნებართვა გაიცა და არა – ბრძანება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ქართული ფეხბურთი

ევრო-2020

# რევაზ არველაძე: უეფა უკეთეს კონტრაქტს გაგვიფორმებს

ევრო -2020-ის ერთობლივი მასპინძლობის მსურველი საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნების პირველი სამუშაო შეხვედრა 1 ივნისს ბათუმში გაიმართა.



სამუშაო ჯგუფს კოორდინაციას გენერალური მდივნები, **რევაზ არველაძე** და **ელხან მამადოვი** გაუწევენ. 30 ივნისს კიევში უეფას აღმასკომზე ევრო 2020-ის კანდიდატურებს დეტალურად განიხილავენ და მათ შესარჩევი ეტაპის მოთხოვნებს გააცნობენ. საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების ერთობლივი სამუშაო ჯგუფი სამოქმედო გეგმას მასზე დაყრდნობით შეადგენს.

შემდგომი სამუშაო შეხვედრა 5 ივლისს, ქალაქ ბაქოში გაიმართება. ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** ამ და სხვა საინტერესო თემებზე გველაპარაკა:

- სანამ უეფა სატენდერო დოკუმენტაციას არ გაგვაცნობს, მანამდე სამოქმედო გეგმის შედგენაზე ლაპარაკი ნაადრევია. უეფამ უნდა გვითხრას, რა მოთხოვნებს გვიყენებს და ამის შემდეგ მასპინძელ ქალაქებს დავასახელებთ. ეს ქალაქები კი უეფას მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ, ინფრასქტრუქტურით, სტადიონებით, მოსამზადებელი ცენტრებით, გზებით, სასტუმროებით, აეროპორტებით და ა.შ.

სამუშო პროცესი უკეთ გვიკარნახებს, რა ტიპის სამუშაოებია პრიორიტეტული, რამდენი და რა პროფილის თანამშრომელი გვჭირდება, სტადიონების ლიცენზირებაში რა პრობლემებია მოსაგვარებელი....

**- შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, უეფა ქვეყნის ლიცენზირებას ჩაგვიტარებს და რეალურ პრობლემებს გავეცნობით.**

- დიახ, ასეც არის. საინტერესო სამუშაო გველის და საკმაოდ საფუძვლიანი ანალიზი გვექნება, უეფას მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რა გვჭირდება. შესაძლოა, შორტ-ლისტში მოვხვდეთ ან ბოლომდე შევრჩეთ.

**- ხშირად არავინ უწყის, რა სახის ვაჭრობა იმალება მსგავსი წარდგენის უკან. იქნებ იმის იმედად ვართ, რომ უეფამ 17 ან 19-წლამდელების ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მაინც მოგვცეს?**

- ვაჭრობის რა მოგახსენოთ, მაგრამ უეფასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს, რომ საკმაოდ კარგ პროექტებს შევეჭიდოთ. ევრო-2020-ის პროექტი გაცვლისა და ვაჭრობისთვის ნამდვილად არ გაგვიკეთებია. ხომ შეიძლება ერთხელ საქართველოშიც ჩატარდეს დიდი საერთაშორისო ტურნირი, ვთქვათ, ასაკობრივი ან გოგონათა ევროპის ჩემპიონატი, ან ლიგის ფინალი? შენ თუ არ მოისურვე და ნაბიჯი არ გადადგი, აქეთ არავინ შეგეხვეწება. ამიტომ, ჯერ სურვილი უნდა დააფიქსირო, ამბიციის შესაბამისი სამუშაო ჩაატარო და უეფაში თვალებს არ დახუჭავენ.

ბუნებრივია, პროექტის განხორციელებაში უდიდესი როლი ჩვენი ორი ქვეყნის მთავრობებს ეკისრებათ, რადგან უზარმაზარ სამუშაოებს ფეხბურთის ფედერაციები ვერ გაწვდებიან, მოსაგვარებელია გადასახადის თემა, ვიზების, ქვეყნებს შორის მიმოსვლის საკითხები და ა.შ.

ჩვენ ახლა ქვეყნის კიდევ უკეთ მოწყობის შანსი გაგვიჩნდა და მისი არგამოყენება არ შეიძლება. გავაკეთოთ საფუძვლიანი ანალიზი, განვსაზღვროთ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის რა უნდა გავაკეთოთ და თუ ეს ხვალ არ გამოგვივა, ზეგ და მაზეგ უფრო მომზადებულები ვიქნებით...

და თუ ამ მოთხოვნების შესრულება დავიწყეთ, აქ უკვე თქვენს კითხვას დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ 17 ან 19-წლამდელების ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის საფუძვლიანი პრეტენზია გაგვიჩნდება. ან ერთ მატჩს მაინც ვუმასპინძლებთ, ვთქვათ, ჩემპიონთა ან ევროპის ლიგის ფინალს.

**- ანუ მაინც სამომავლო პერსპექტივის იმედად რიგში ვდგებით. აზერბაიჯანს ოლიმპიადის მასპინძლობის კანდიდატურის წარდგენაზე უარი იმიტომ უთხრეს, რომ სხვებს განაცხადი მეტჯერ ჰქონდათ წარდგენილი.**

- ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროა ვიცოდეთ, რა სახის პრობლემები გვაქვს, გაწეული სამუშაოები კი ისევ ქვეყანას წაადგება.

**- ფიფას სატელევიზიო და მარკეტინგული კომიტეტის წევრი ბრძანდებით. ფაქტობრივად, ეს სამსახური ფიფას ძარღვია. ამ კუთხით რა ცვლილებებია მოსალოდნელი?**

- უეფას გადაწყვეტილებით, სატელევიზიო სივრცე ცენტრალიზებული გახდება და 2014 წელს მასთან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ანუ უეფა საკუთარ თავზე აილებს სანაკრებო მატჩების ტრანსლირების ექსკლუზიურ უფლებასაც, ისევე როგორც ჩემპიონთა და ევროპის ლიგებში.

**- ეს კონტრაქტი უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე აქამდე კერძო სატელევიზიო სააგენტოებთან გაფორმებული?**

- რასაკვირველია! კონტრაქტი 8 წლით გაფორმდება და ბუნებრივია, რომ არც ერთი ფედერაცია უარეს ხელშეკრულებას არ დათანხმდებოდა. და რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგის მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ უეფას მარკეტინგის სამსახური, მატჩების შეფუთვისა და მიწოდების მისი ტექნოლოგია ყველა დანარჩენისას ბევრად აღემატება.

**- ფედერაციას ეროვნული ჩემპიონატის მასშტაბურად გაშუქება სურს. ამაზე რას გვეტყვით?**

- ფეხბურთი სრულყოფისკენ მიდის და ამ გზაზე სატელევიზიო სივრცეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ის დღეს ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პარტნიორია. ტელევიზიის, მაყურებლისა და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გარეშე, შემოსავლები მცირეა ან თითქმის არ არის. ჩვენ ამ მხრივ პრობლემები გვაქვს და გვინდა, რაც შეიძლება მეტი მატჩი და მთლიანად ჩემპიონატი მაქსიმალურად გაშუქდეს, იყოს მეტი რეპორტაჟი, მატჩებისა და ტურების გარჩევები, გადაცემები.

დრო გვაჩვენებს, ეს რა შედეგს მოიტანს და როგორ აისახება ფეხბურთის განვითარებაზე, სპონსორების მოზიდვაზე, ახალ სატელევიზიო კონტრაქტებზე, მაყურებლის მოზიდვაზე. მაგრამ ფეხბურთში ტელეგაშუქებაზე მომგებიანი არაფერი მოუგონიათ და ჩვენც ნაცნობი მეთოდის დანერგვას შევეცდებით.

**- ანუ ტელეეთერი ფეხბურთით შეივსება.**

- დიახ და მიმაჩნია, რომ ეს მანკიერი მხარეების აღმოფხვრასაც ხელს შეუწყობს. როდესაც ჩემპიონატი არ შუქდება, ვიღაცას ცდუნება აუცილებლად გაუჩნდება, რომ სადღაც იმაიმუნებს და შერჩება. ვერავინ დაგვაზღვევს ჩაწყობილი მატჩებისგან, აბსოლუტურად სამართლიანობას ვერავის დავპირდებით, მაგრამ მანკიერი მოვლენების წამალი მედიაა. როდესაც ყველაფერი ტელევიზიითა და გაზეთებით გაშუქდება, მერე ადამიანებს მეტი შიში და რიდი გაუჩნდებათ, სახალხოდ თავი რომ არ მოიჭრან.

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გია გეგუჩაძე: ტორპედოს მომზადებით კმაყოფილი ვარ

ქუთაისის "ტორპედო" სეზონისთვის სლოვენიაში ემზადება და უკვე ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ქუთაისელები პირველ შეხვედრაში ალბანეთის ჩემპიონ "შკენდერბეუსთან" 0:2 დამარცხდნენ, ხოლო ბუქარესტის "სტიაუასთან" ფრედ, 1:1 ითამაშეს.

მოსამზადებელ ეტაპზე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** "ტორპედოს" პრესსამსახურთან კომენტარი გააკეთა: "თავისთავად ცხადია, ალბანურ და რუმინულ კლუბებთან შეხვედრებში ჩვენი დადებითი მხარეებიც გამოჩნდა და უარყოფითიც. ჯერ უარყოფითს ვიტყვი: მიმაჩნია, რომ პირველ მატჩში სუსტ მოწინააღმდეგესთან დავმარცხდით. ალბანელებთან გამოჩნდა, რომ საგოლე მომენტების შექმნა გვეხერხება, თუმცა, რეალიზაცია გვიჭირს. "სტიაუასთან" თამაში გამოვასწორეთ, უფრო უკეთ მოვახერხეთ ლამაზი და კომბინაციური ფეხბურთის ჩვენება. მაგრამ რეალიზაციის პრობლემამ თავი რუმინელებთანაც იჩინა. მეორე ტაიმში ჩვენი მოთამაშე ორჯერ დარჩა მეკარესთან პირისპირ და ვერც ერთ ამ შემთხვევაში გოლი ვერ გავიტანეთ. თუმცა, მახარებს ის ფაქტი, რომ ამჯერად დაცვაში უფრო საიმედოდ ვითამაშეთ.

შეკრებაზე სპარინგებს სხვა დატვირთვა აქვს და ფეხბურთელებს სრულად დახარჯვას ვერ მოვთხოვთ - ისინი დატვირთვების ფონზე თამაშობენ და ბოლომდე გახსნილები არ არიან. თუმცა, მიმაჩნია, რომ 5 ივლისისთვის, როდესაც ევროპის ლიგის პირველი მატჩი უნდა ჩავატაროთ, გამოიკვეთება ძირითადი შემადგენლობის კონტურები, ვინ უკეთ არის მომზადებული და ვინ არა. ახლა კი გეგმის მიხედვით მივდივართ.

შემდეგ შეხვედრას "ტორპედო" უკრაინის ჩემპიონ დონეცკის "შახტართან" ჩაატარებს. რა თქმა უნდა, ძლიერ გუნდებთან თამაშისას გამოჩნდება ჩვენი მომზადების დონე, სუსტი მხარეები და რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ. შემდეგ ვარჯიშები ამ ნაკლის აღმოფხვრას დაეთმობა. ახლა კი საგანგაშო არაფერი ხდება. პირიქით, ამ ეტაპზე "ტორპედოს" მომზადების დონით კმაყოფილი ვარ".

**მერაბ მამულაშვილი**

საკონტროლო მატჩი

# მეტალურგის ხორვატული ტესტი

სლოვენიურ შეკრებაზე მყოფმა რუსთავის „მეტალურგმა" მეორე საკონტროლო მატჩი ითამაშა, ხორვატულ „რიეკასთან" 0:1 წააგო.

რუსთაველებმა გოლი 30-ე წუთზე გაუშვეს, ხორვატებმა კუთხურით იხეირეს.

**„მეტალურგი":** ბედიაშვილი ( ბათიაშვილი 46), კვარაცხელია, მახვილაძე (გავაშელიშვილი 46), ჯაფარიძე ( კაკუშაძე 46), სუხიაშვილი, რაზმაძე, მაისურაძე, მიქაბერიძე, თექთურმანიძე (ქავთარაძე 46), გეწაძე, სიხარულიძე (ტატანაშვილი 46).

„მეტალურგი" მორიგ ამხანაგურ მატჩს 25 ივნისს უკრაინის „ზარიასთან" გამართავს, 27-ში კი რუსთაველები უკრაინის „გოვერლა-ზაკარპატიას" დაუპირისპირდებიან.

**დავით თავართქილაძე**

ევრო-2012 სპეციალისტის აზრი. კახა გოგიჩაიშვილი

# გერმანია ძალიან შთამბეჭდავია, მეოთხედფინალი ბერძენთა მაქსიმუმია

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ ნახევარმცველსა და ამჟამად ბავშვთა მწვრთნელ კახა გოგიჩაიშვილს პირველი ორი მეოთხედფინალური მატჩის შეფასება და დღევანდელი და ხვალინდელი შეხვედრების პროგნოზირება ვთხოვეთ.**

### ჩეხეთი-პორტუგალია

პორტუგალიელებს ამ დაბრკოლების გადალახვა ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ, მთლიანობაში, დამაჯერებლად და დამსახურებულად გაიმარჯვეს. ჩეხებმა თამაში კონტრშეტევებზე ააგეს, თუმცა წინა ხაზზე საერთოდ არაფერი გამოუვიდათ – მეტოქის კარის ჩარჩოში ერთხელაც ვერ დაარტყეს. შეიძლება, ჩეხების ყველაზე დიდი იმედი ის იყო, რომ საქმეს თერთმეტმეტრიანების სერიამდე მიიყვანდნენ და იქ, შეიძლება, ყველაფერი **პეტრ ჩეხის** ოსტატობას გადაეწყვიტა.

თუმცა მატჩის გმირი არა ჩეხი, არამედ **კრიშტიანუ რონალდუ** იყო, რომელმაც თავისი შესანიშნავი თამაშით კრიტიკოსები გააჩუმა და თუ მან და მისმა თანაგუნდელებმა ასე განაგრძეს, უფრო მეტსაც მიაღწევენ.

ფაქტია, რომ ეს არათანაბარი ძალის გუნდების დაპირისპირება იყო, რომელიც, როგორც ველოდით, ძლიერმა მოიგო.

### გერმანია-საბერძნეთი

გერმანიის ნაკრებმა მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტყუილად არ მიიჩნევა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრეს ფავორიტად. გერმანელებმა მთელი თამაში შესანიშნავად აკონტროლეს და დიდი რაოდენობით საგოლე მომენტებიც შექმნეს.

**იოახიმ ლიოვმა** შემტევი ტრიო შეცვალა და ამ ჩანაფიქრმა აბსოლუტურად გაუმართლა. **შიურლე** და **როისი** სწრაფი ფეხბურთელები არიან და ორივე მათგანმა დაკისრებულ ფუნქციებს თავი მაღალ დონეზე გაართვა. აღარაფერს ვამბობ **კლოზეზე,** რომელიც ამ სოლიდურ საფეხბურთო ასაკშიც კი არ კარგავს ბომბარდირულ თვისებებს.

ბერძნებს გამათანაბრებელი გოლის შემდეგ თითქოს საბოლოო წარმატების შანსი გაუჩნდათ, მაგრამ გერმანელებმა სრული რესურსი მალევე აამოქმედეს და მეტოქე უშანსოდ დატოვეს. საბერძნეთის ნაკრები ბევრს ეცადა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო – მეოთხედფინალი ბერძენთა მაქსიმუმი გახლდათ.

### ესპანეთი-საფრანგეთი

ესპანეთი გაცილებით ძლიერ გუნდად მიმაჩნია და არა მგონია, საფრანგეთს ნახევარფინალში გასვლის დიდი შანსი ჰქონდეს.

### ინგლისი-იტალია

ვფიქრობ, ყველაზე თანაბარი მეოთხედფინალური წყვილია, რომელსაც ფავორიტი ნამდვილად არ ჰყავს. მცირე უპირატესობას ინგლისს მივანიჭებდი, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, ყველაფერი პენალტების სერიაში გადაწყდეს.

გოგიჩაიშვილი ნახევარფინალებში დაძაბულ ბრძოლებს ელის, თუმცა ვარაუდობს, რომ ფინალში ესპანეთისა და გერმანიის დაპირისპირებას ვიხილავთ. მათ შორის საუკეთესოს დასახელებისგან კი, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



კახა გოგიჩაიშვილი

ევრო 2012
1/4 ფინალის წინ

# ევრო 2012

## 23 ივნისი. დონეცკი. დონბას არენა. 22:45

| ესპანეთი | საფრანგეთი |
|---|---|
| **სავარაუდო შემადგენლობები** | |
| კასილიასი | ლორისი |
| არბელოა | დებიუში |
| ს. რამოსი | კოშელნი |
| პიკე | რამი |
| ალბა | კლიში |
| ბუსკეტსი | დიარა |
| ჩ. ალონსო | მ'ვილა |
| ჩავი | მენეზი |
| სილვა | ნასრი |
| ინიესტა | რიბერი |
| ტორესი | ბენზემა |
| **ტრავმა** | |
| | კაბაი (?) |
| არავინ | ნასრი (?) |
| | რიბერი (?) |
| **დისკვალიფიკაცია** | |
| არავინ | მექსე |
| **მსაჯი** | |
| ნიკოლა რიცოლი (იტალია) | |

### ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

**ესპანეთი**

| | | |
|---|---|---|
| ესპანეთი | VS იტალია | 1:1 |
| | VS ირლანდია | 4:0 |
| | VS ხორვატია | 1:0 |

**მეკარე:** *იკერ კასილიასი (3 თამაში)*
**მცველები:** *ჟერარდ პიკე (3), სერხიო რამოსი (3), ალვარო არბელოა (3), ხორდი ალბა (3), ხავი მარტინესი (1)*
**ნახევარმცველები:** *სესკ ფაბრეგასი (3, 2 გოლი), ანდრეს ინიესტა (3), ჩავი ერნანდესი (3), ჩაბი ალონსო (3), სერხიო ბუსკეტსი (3), დავიდ სილვა (3, 1), ხესუს ნავასი (2, 1), სანტი კასორლა (1).*
**თავდამსხმელები:** *ფერნანდო ტორესი (3, 2), ალვარო ნეგრედო (1).*

**საფრანგეთი**

| | | |
|---|---|---|
| საფრანგეთი | VS ინგლისი | 1:1 |
| | VS უკრაინა | 2:0 |
| | VS შვედეთი | 0:2 |

**მეკარე:** *უგო ლორისი (3 თამაში)*
**მცველები:** *მატიო დებიუში (3), ადილ რამი (3), ფილიპ მექსე (3), გაელ კლიში (2), პატრის ევრა (1).*
**ნახევარმცველები:** *სამირ ნასრი (3, 1 გოლი), ფრანკ რიბერი (3), ალუ დიარა (3), იოან კაბაი (2, 1), ჟერემი მენეზი (2, 1), ფლორან მალუდა (2), იან მვილა (2), მარვინ მარტენი (2), ჰატემ ბენ არფა (2).*
**თავდამსხმელები:** *ქარიმ ბენზემა (3), ოლივიე ჟირუ (2).*

### ურთიერთშეხვედრები

**30 თამაში**
**13 ესპანეთი, 11 საფრანგეთი, 6 ფრე, 57-35 (ესპ.)**

**ბოლო ოფიციალური დაპირისპირება**

| | | | |
|---|---|---|---|
| 27.06. 2006 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1:3 | ევრო 2006 |

- ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების ისტორია ბორდოში დაიწყო. 1922 წელს ამხანაგურ მატჩში ესპანელებმა მასპინძლები სასტიკად გაანადგურეს - 4:0.
- ბოლო ოთხი დაპირისპირებიდან ესპანელებმა 3 მოიგეს, ფრანგებმა 1.
- 1929 წელს ამხანაგურ მატჩში ესპანეთმა 8:1 გაანადგურა საფრანგეთი.

# ისტორია მამლების მხარეს

## ფრანგების ბანაკში არეულობაა

დღეს ევრო 2012-ზე პირველი ნახევარფინალური წყვილი შედგება: პორტუგალიელები ელიან, ვინ მოიპოვებს მათთან დაპირისპირების უფლებას, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ესპანელები თუ ფრანგები. ერთი შეხედვით ამათ დაპირისპირებაში ესპანელებს დიდი უპირატესობა აქვთ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით...

### პრესკონფერენცია

#### ვისენტე დელ ბოსკე

საბოლოო შემადგენლობა ჯერ არ გადამიწყვეტია, განსაკუთრებით შეტევაში. მე მყავს 23-კაციანი, თანაბარძალოვანი გუნდი, სადაც ყოველ პოზიციაზე კონკურენციაა. ეს კი ძალიან მახარებს. ესპანეთის ნაკრები უნდა იყოს მაგალითი ყველასთვის. არ მჯერა, რომ მეტოქე დაცვაში ჩაიკეტება, მათ ძალიან ბევრი ინიციატივიანი ფეხბურთელი ჰყავთ, რომელთაც უყვართ იმპროვიზაცია. საფრანგეთის ნაკრებს ძალიან ძლიერი მწვრთნელი ჰყავს, ასე რომ, მძიმე ბრძოლა გველის. აქედან ესპანეთი შორსაა, თუმცა 2 ათასი ფანიც დიდი ძალაა, რომლებიც ხვალ გაგვამხნევებენ. ოთხი წლის წინათ, ევროპის ჩემპიონატი მოვიგეთ, ორი წლის წინათ - მსოფლიოს. ამიტომ ყველა ფავორიტად გვთვლის, თუმცა ოფიციალურ მატჩებში უპირატესობა ფრანგებს აქვთ. ვნახოთ, იქნებ ხვალ ისტორია შევცვალოთ...





#### ლორან ბლანი

ესპანეთის ნაკრების სათამაშო ფილოსოფია მთლიანად ეყრდნობა „ბარსელონას" ფილოსოფიას. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ესპანეთის ნაკრები დაახლოებით 70%-ით აკონტროლებს ბურთს და შენ ასეთ თამაშს უნდა შეეგუო, რადგან ჯერ არ ჩანს გუნდი, რომელიც ესპანეთის ნაკრებს ბურთს წაართმევს. კოშელნის შესანიშნავი შანსი მიეცა, დაამტკიცოს, რომ ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ჩემი აზრით, რაც უფრო გახურდება თამაში და დასკვნისკენ წავა, მით უფრო მეტი შანსი მოგვეცემა. რიბერის და ნასრის ჰქონდათ მცირე პრობლემები, მაგრამ ახლა თამაშისთვის მზად არიან.



ფრანგები ქუჩაშიც დარბოდნენ

### ამხანაგურებში ლომები, ოფიციალურში?

ორი მეზობელი ქვეყანა რომ ხშირად შეხვდებოდა ერთმანეთს, ცხადია. აქამდე ესპანეთი და საფრანგეთი 30-ჯერ დადგნენ პირისპირ. ესპანელებმა 13 მოიგეს და 11 წააგეს, ბურთების სხვაობა კიდევ უფრო სოლიდურია, მაგრამ: 13-ვე გამარჯვება „ფურია როხამ" „მამლებზე" ამხანაგურ მატჩებში მოიპოვა. ოფიციალურ მატჩებში კი ბალანსი ასეთია, ფრანგებმა 6-დან 5 მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს. ყველაზე ბოლოს იყო მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი, ჰანოვერის მატჩი, როცა მერვედფინალში **კარლეს პუიოლმა** სულელური ჯარიმა „აიკიდა", რასაც მოჰყვა კიდევაც ფრანგების გადამწყვეტი გოლი. საბოლოოდ, ის მატჩი **რიბერის**, **ვიეირას** და **ზიდანის** გოლების წყალობით ფრანგებმა 3:1 მოიგეს.

ორივე ნაკრები მეოთხედფინალამდე ცოტა უხასიათოდ მივიდა, ესპანეთის ნაკრებმა ბევრი ინერვიულა და ქომაგიც ანერვიულა, საბოლოოდ კი მაინც შეძლო უნიათო თამაშით ხორვატების ძლევა. აი, ფრანგებმა კი სულაც 0:2 წააგეს შვედებთან. ამბობენ, ამას ფრანგთა ბანაკში განხეთქილება და ჩხუბიც კი მოჰყვაო. პრინციპში, ეს ხმები თავად **ლორან ბლანმა** დაადასტურა. „იყო არეულობა, მაგრამ ახლა სრული სიმშვიდეა. ეს ერთი მხრივ კარგია. გამოდის, რომ ბიჭები წაგებას ვერ ეგუებიან". ასეა თუ ისე, ფაქტია - ფრანგთა ბანაკში იდილია ნამდვილად არ არის.

### ცრუ თუ ნაღდი?

**ვისენტე დელ ბოსკე** ისევ ძიებაშია: როგორც ჩანს, ერთი კარგი თამაში არ კმარა, **ფერნანდო ტორესმა** ჯერაც ვერ დაამტკიცა, რომ ნაკრების შეუცვლელი წევრია. 61 წლის დელ ბოსკე ჯერაც ფიქრობს, ნაღდი 9 ნომრით ითამაშოს, თუ ცრუ ცენტრფორვარდით. მოკლედ, ფერნანდო ტორესი იქნება სასტარტოში თუ **სესკ ფაბრეგასი**, ჯერ შეიძლება თავად დელ ბოსკემაც არ იცის.

შვედებთან მარცხზე უარესი იმ მატჩში ფრანგებისთვის **ფილიპ მექსეს** გაფრთხილება გახლდათ. ეს ცენტრალური მცველის მეორე ყვითელი ბარათი იყო და ახლა დაცვის ლიდერი უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებას გამოტოვებს. ლორან ბლანს კი მექსეს და **ადილ რამის** გარდა, მხოლოდ ერთი ცენტრალური მცველი ჰყავს ევროპის ჩემპიონატზე წაყვანილი - **ლორან კოშელნი**. უნდა თუ არა, ბლანი უნდა ენდოს კოშელნის, მას სხვა გზა არა აქვს. სხვა მხრივ, ბლანი ალბათ დააბრუნებს **ჟერემი მენეზს** ძირითად შემადგენლობაში.

რამდენიმე ფრანგს ტრავმები აწუხებს, თუმცა **სამირ ნასრი, იოან კაბაი** და ფრანკ რიბერი თამაშს მაინც შეძლებენ. რიბერიმ და ნასრიმ ოთხშაბათის ვარჯიშები სრულად გამოტოვეს.

### მთავარი დუელი

ანდრეს ინიესტა VS ალუ დიარა

სიმართლე გითხრათ, დუელი მთლად ზუსტი არ გამოვა, რადგან, როგორც წესი, **ანდრეს ინიესტა** ერთ კონკრეტულ მეტოქეზე ხშირად მთელ ჯგუფს ებრძვის. ვფიქრობთ, მთელი მსოფლიო შემოიარა ფოტოებმა, როცა ანდრესი 5 იტალიელის, ან ამდენივე ხორვატის გარემოცვაშია. მოკლედ, მხოლოდ **ალუ დიარამ** თუ იყოჩაღა, საფრანგეთი შვებით ვერ ამოისუნთქავს, სხვებმაც მაღალ დონეზე უნდა ითამაშონ, რათა ესპანეთის სუპერ-შუახაზი როგორმე გააჩერონ. რა გამოვა აქედან, ძნელი სათქმელია, ერთდროულად ჩავის, ინიესტას და სილვას გაჩერება ვერ წარმოგვიდგენია...

### იცით თუ არა, რომ...

- ირლანდიის ნაკრებთან მატჩში **ჩავიმ** ევროპის რეკორდი დაამყარა, როცა 127 პასი გააკეთა. მან ჰოლანდიელი **რონალდ კუმანის** 20 წლის წინანდელი რეკორდი დაამხო.
- შვედებთან წაგებით ფრანგებმა 23-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულეს.
- საფრანგეთის ნაკრები უკანასკნელი გუნდია, რომელმაც შეძლო ესპანელთა გაძევება ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ეტაპებიდან. ეს 2006 წლის მუნდიალზე მოხდა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ენდოს თუ არ ენდოს, ვისენტე დელ ბოსკეს ჯერ არ გადაუწყვეტია ფერნანდო ტორესის საკითხი

ევრო 2012
1/4 ფინალის წინ

# ევრო 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 ივნისი. კიევი.
ოლიმპიური. 22:45

| ინგლისი | იტალია |
|---|---|
|  |  |

| სავარაუდო შემადგენლობები | |
|---|---|
| ჰარტი | ბუფონი |
| ჯონსონი | ბარძალი |
| ტერი | დე როსი |
| ლესკოტი | ბონუჩი |
| ე. კოული | მაჯო |
| ჯერარდი | მარკიზიო |
| პარკერი | მოტა |
| მილნერი | პირლო |
| იანგი | ბალძარეტი |
| რუნი | კასანო |
| კეროლი | ბალოტელი |
| **ტრავმა** | |
| არავინ | კიელინი |
| **დისკვალიფიკაცია** | |
| არავინ | არავინ |

მსაჯი

პედრო პროენსა (პორტუგალია)

## ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა

### ინგლისი

| | | |
|---|---|---|
| **ინგლისი** | VS საფრანგეთი | 1:1 |
| | VS შვედეთი | 3:2 |
| | VS უკრაინა | 1:0 |

**მეკარე:** *ჯო ჰარტი (3 თამაში)*

**მცველები:** *გლენ ჯონსონი (3), ეშლი კოული (3), ჯონ ტერი (3), ჯოლეონ ლესკოტი (3, 1 გოლი).*

**ნახევარმცველები:** *თეო უოლკოტი (3, 1), სტივენ ჯერარდი (3), ეშლი იანგი (3), ჯეიმს მილნერი (3), სკოტ პარკერი (3), ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი (3), ჯორდან ჰენდერსონი (1).*

**თავდამსხმელები:** *დენი უელბეკი (3, 1), ენდი კეროლი (2, 1), უეინ რუნი (1, 1), ჯერმენ დეფო (1).*

### იტალია

| | | |
|---|---|---|
| **იტალია** | VS ესპანეთი | 1:1 |
| | VS ხორვატია | 1:1 |
| | VS ირლანდია | 2:0 |

**მეკარე:** *ჯანლუიჯი ბუფონი (3 თამაში)*

**მცველები:** *ჯორჯო კიელინი (3), ლეონარდო ბონუჩი (3), კრისტიან მაჯო (2), ფედერიკო ბალცარეტი (1), ანდრეა ბარძალი (1), იგნაციო აბატე (1).*

**ნახევარმცველები:** *ანდრეა პირლო (3, 1 გოლი), ტიაგო მოტა (3), კლაუდიო მარკიზიო (3), დანიელე დე როსი (3), ემანუელე ჯაკერინი (2), რიკარდო მონტოლივო (1), ალესანდრო დიამანტი (1), ანტონიო ნოჩერინო (1).*

**თავდამსხმელები:** *მარიო ბალოტელი (3, 1), ანტონიო კასანო (3, 1), ანტონიო დი ნატალე (3, 1), სებასტიან ჯოვინკო (2).*

## ურთიერთშეხვედრები

**22 თამაში**

**9 იტალია, 7 ინგლისი, 6 ფრე, 28-26 (ინგ.)**

### ბოლო ოფიციალური დაპირისპირება

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.10. 1997 | იტალია-ინგლისი | 0:0 | მუნდიალი 1998 საკვ. |

- ოფიციალურ მატჩებში მხოლოდ ერთხელ შეძლეს ინგლისელებმა იტალიელების დამარცხება. 1977 წელს „სამმა ლომმა" „სკუადრა აძურა" მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში, „უემბლიზე" დაჯაბნა - 2:0. მაგრამ აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ამ შეხვედრას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, იტალიელებს საგზური განაღდებული ჰქონდათ... ინგლისელთა ხარჯზე.
- ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში ეს ორი გუნდი ორჯერ დაუპირისპირდა ერთმანეთს. ორივეჯერ იტალიელებმა მოიგეს, ორივეჯერ ჯგუფურ ეტაპზე (ევრო 1980 და მუნდიალი 1990).
- ბოლო ორი ამხანაგური შეხვედრა იტალიამ მოიგო, ამის მერე ინგლისი და იტალია უკვე 10 წელიწადია, ერთმანეთს არ დაპირისპირებიან. სწორედ იტალიასთან ამხანაგურ მატჩში მოირგო პირველად **დევიდ ბექჰემმა** კაპიტნის სამკლავური.

# ინგლისი, რომელიც ძალიან ჰგავს იტალიას

## ეშინია თუ არა ვინმეს ბალოტელის?

ხვალ კიევში ევრო 2012-ის მეოთხედფინალური ეტაპის ბოლო მატჩი გაიმართება. ახლა, როცა ეს ტექსტი იწერება, მხოლოდ ერთი გუნდის სახელია ცნობილი, ვინც ოთხ გუნდს შორის უკვე მოხვდა. ასე რომ, "ოლიმპიისკიზე" შეხვედრას დანარჩენი სამი გუნდიც გულის ფანცქალით მიადევნებს თვალს. კუნძულელებსა და ნახევარკუნძულელებს შორის გამარჯვებული საბერძნეთი-გერმანიის წყვილში უძლიერესს შეხვდება. რომელიც არ უნდა იყოს ის, მეტოქესთან სერიოზული უპირატესობა ექნება, რადგან ნახევარფინალურ შეხვედრამდე 48 საათით მეტი ექნება ძალების ალსადგენად.

მაშ ასე, როი ჰოჯსონი ჩეზარე პრანდელის წინააღმდეგ. იმედია, ინგლისის გულშემატკივრები არ გვიწყენენ, თუ ვიტყვით: აპენინელებს მინიმუმ იმით მაინც შეუძლიათ იამაყონ, რომ აშკარად უკეთესი დამრიგებელი ჰყავთ. დანარჩენ შეკითხვებზე პასუხის მისაღებად კი ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი...

## კომენტარები

### როი ჰოჯსონი

ბოლო დღეებში უეინ რუნი ვარჯიშებზე შესანიშნავად გამოიყურებოდა, თუმცა მაინც გამიკვირდა, როცა თამაშში ასე კარგად ჩაერთო. განსხვავება მატჩსა და ვარჯიშს შორის ხომ მაინც ძალიან დიდია. მას სათამაშო რიტმის შეგრძნება სჭირდებოდა და ეს უკვე მოხდა. იტალიასთან შეხვედრამდე ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მეტოქის თამაში მაქსიმალურად შევისწავლოთ და აქედან ჩვენი დასკვნები გამოვიტანოთ. მინდა, ვთხოვო ჩემს ფეხბურთელებს, რომ მიუხედავად ყვითლების სიმრავლისა, ითამაშონ ისე, როგორც ჩვეულებრივ. ნებისმიერ შემთხვევაში ამ მატჩის ხასიათი წინა თამაშებისგან განსხვავებული იქნება, რადგან ეს უკვე პლეი ოფია. მთავარია, რომ ჯერ კიდევ აქ ვართ და ტურნირში ვმონაწილეობთ.





### ჩეზარე პრანდელი

ინგლისს უყვარს თავისი თამაშის თავს მოხვევა. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს მათთან დაპირისპირება. ეს გუნდი გაუტეხელი ხასიათისაა. ბრძოლას ისინი აუტისთვისაც კი არ თმობენ. ჰოჯსონს შემადგენლობაში ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, რომლებიც მოედანს ფანტასტიკურად ხედავენ. მცირე რისკი იყო ირლანდიასთან მარიო ბალოტელის თამაში, მაგრამ ასეთ ფეხბურთელებს უყვართ თამაშში ისეთ დროს ჩართვა, როცა გადაწყვეტილი ჯერ კიდევ არაფერია. მარიომ შეასრულა ჩემი დავალება და თავდადებით ითამაშა. როცა მიხვდება, რომ მისი ცუდი არავის უხარია, სწორედ მაშინ იქნება მის თავს ყველაფერი კარგად. ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ მას ყველანაირად დავეხმაროთ ამაში.



### ტრადიცია თუ ამბიცია

რას ვგულისხმობთ ქვესათაურში? იმას, რომ 46 წელია, ყველა დიდ ტურნირზე, სადაც ინგლისი გამოდის, ფავორიტთა შორის სახელდება და საბოლოოდ, იდეალურ შემთხვევაში, მხოლოდ საუკეთესო ოთხეულში თუ ახერხებს გაძვრომას. განა ასე არ იყო თავის დროზე ესპანეთიც? განა პირენეელებს "შესარჩევი ეტაპის ჩემპიონებს" არ უწოდებდნენ? დღეს რა სტატუსით სარგებლობს ეს გუნდი, ყველამ ვიცით. და რატომ არ შეიძლება ინგლისელებმაც დაწერონ მსგავსი ისტორია?

მიუხედავად წინა საჩემპიონატო დანაკარგებისა, "სამი ლომის" შემადგენლობა მაინც ძალიან ძლიერია, უკანა ხაზი კი სიმყარეში არც გერმანიას დაუდებს ტოლს და არც ესპანეთს. ხოლო თუ რა შეუძლია გაუვალ დაცვას, "ჩელსიმ" ყველას დაუმტკიცა. შედარებით სუსტად გამოიყურება ინგლისელთა შუა ხაზი, განსაკუთრებით ფლანგები. თავდასხმაში კი **როი ჰოჯსონს უეინ რუნი** ჰყავს და ამით ყველაფერი ნათქვამია. რაც მთავარია, არც ერთ ინგლისელ ფეხბურთელს სერიოზული ტრავმა არ აწუხებს. საეჭვო მხოლოდ **ეშლი იანგის** ასპარეზობაა.

### ყველგან აძურა

ინგლისის ნაკრებისა არ იყოს, ევროპის ჩემპიონატებზე განსაკუთრებული წარმატებებით ვერც იტალიის ნაკრები დაიკვეხნის. კონტინენტის პირველობის ერთადერთი ოქროს მედალი "აძურამ" 1968 წელს მოიპოვა და ისიც... მონეტის წყალობით. აპენინელებმა 1/2-ფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 0:0 დაასრულეს, გადამწყვეტ შეხვედრაში თამაშის უფლება კაპიტანმა **ჯაჩინტო ფაკეტიმ** მოიპოვა, როცა ხურდა ფულის ის მხარე გამოიცნო, რომელიც "დაჯდა".

იტალიაში დიდი ამბავია ატეხილი. ნაკრებზე ლაპარაკობენ ყველგან და ყოველთვის – გაზეთებში, ტელევიზიებში, ბარებში, ქუჩაში, ძილის წინ თუ ახლად გალვიძებულზე. "კორიერე დელო სპორტმა" დიდი ამბით დაწერა, რომ ინგლისს ბალოტელისა ეშინია და რომ მათთვის იტალიასთან შეხვედრა აპოგეაა. ერთია, რა ხდება ნაკრებს მილმა, მეორე ის, თუ რა ამბავია პრანდელის ბანაკში. ყველაფერი კარგად იქნებოდა, გუნდს **ჯორჯო კიელინი** რომ არ დაკლებოდა. პრესა დარწმუნებულია, რომ მას **ლეონარდო ბონუჩი** შეცვლის. **კასანო, ბარძალი** და **მოტა** კი, ფეხბურთელები, რომელთაც ირლანდიასთან მატჩის შემდეგ მცირე პრობლემები შეექმნათ, უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობენ.

### მთავარი დუელი

სტივენ ჯერარდი VS ანდრეა პირლო

იტალიისა და ინგლისის ნაკრებებს გამოკვეთილი ლიდერები ჰყავთ. ვგულისხმობთ **ანდრეა პირლოსა** და **სტივენ ჯერარდს**. სწორედ მათმა უტეხმა სულმა და გუნდის აყოლიების ნიჭმა უნდა გამოადნოს გამარჯვება. ამის დასტურია ფეხბურთელების ინდივიდუალური სტატისტიკაც: იუვენტუსელის ანგარიშზე გოლი და 2 საგოლე გადაცემაა – ხორვატიასთან მან თავად გაიტანა, ესპანეთთან **დი ნატალეს** გაატანინა, ირლანდიასთან – **კასანოს**. მართალია, "ლივერპულის" კაპიტანს გოლი არ გაუტანია, მაგრამ მან საფრანგეთთან **ლესკოტს** დაასვა ბურთი თავზე, შვედეთთან - **კეროლს**, უკრაინასთან – **რუნის**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ჯერარდისა და პირლოს (ზედა ფოტოზე) დაპირისპირებაში ბევრი რამ გაირკვევა

ევრო 2012

# კოლინა: მსაჯობა მაღალ დონეზეა

## 302 თამაშგარედან მხოლოდ 13 დაფიქსირდა შეცდომით

**მსაჯობა ყველა დიდ საფეხბურთო ფორუმზე აქტუალური თემა და განხილვის საგანია - გამონაკლისი არც მიმდინარე ევროპის ჩემპიონატია, რომელიც გადამწყვეტ ფაზაშია შესული. ვერ ვიტყვით, რომ უკრაინა-პოლონეთის მინდვრებზე არბიტრები უშეცდომოთ მოქმედებენ, მაგრამ მთლიანობაში რომ საკმაოდ კარგად მუშაობენ, ამაზე ექსპერტთა უმეტესობა თანხმდება. თუმცა, მაგალითად უკრაინელებს სულ სხვა მოსაზრებები აქვთ, რადგან მათი ნაკრები ამ მხრივ ყველაზე მეტად დაიჩაგრა. უეფას სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელ პიერლუიჯი კოლინას სწორედ უკრაინელი ჟურნალისტი გაესაუბრა და რა გასაკვირია, რომ მწვავე კითხვებიც დაუსვა – გავეცნოთ ამ საინტერესო ინტერვიუს, რომელიც ლაინსმენებსა და ოფსაიდებზე საუბრით დაიწყო...**

- თუ გგონიათ, რომ ოფსაიდის დაფიქსირება იოლი საქმეა, ძალიან ცდებით. სცადეთ აბა, ყველაფერი იდეალურად განჭვრიტოთ, როდესაც ბურთი 50 მეტრიდან მოფრინავს, თქვენ წინ კი ათობით ფეხბურთელი დარბის... არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს ბევრს ჰგონია და კარგი იქნება, თუ ამას ყველა მიხვდება. გასაგებია, რომ ეს ლაინსმენების უშუალო მოვალეობაა და ამაში იღებენ ფულს, მაგრამ როგორც ყველა საქმეში, შეცდომა აქაც შეიძლება გაიპაროს.

**- როგორ აუხსნით უკრაინელებს, რომ უბრალო შეცდომის გამო, მათ ეროვნულ გუნდს 100%-იანი გოლი არ ჩაუთვალეს?**

- ძალიან საწყენია, რომ ასე მოხდა და უკრაინა დაიჩაგრა, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ყველაფერი ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია... ცდებიან მოთამაშეები, მწვრთნელები და მათ შორის, მსაჯები, ეს ჩვეულებრივი ამბავია. რაც მთავარია, ამ ევროპის ჩემპიონატზე შეცდომათა რაოდენობამ მკვეთრად იკლო და ფაქტობრივად, სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია. მაგალითად, ჯგუფური ეტაპის 24 შეხვედრაში 302 თამაშგარე დაფიქსირდა და აქედან მხოლოდ 13 იყო მცდარი; ანუ, ლაინსმენებმა 95.7%-იანი სიზუსტე აჩვენეს და ეს მაშინ, როდესაც ლაპარაკია სანტიმეტრებზე. ჩემი პირადი აზრით, შესანიშნავი მაჩვენებელია.

**- შეცდომებში თუ შედის საბერძნეთის ნაკრების მიერ ჩეხებთან გატანილი გოლი, რომელიც არბიტრებმა გააუქმეს?**

- არა, არ შედის, რადგან ის ეპიზოდი დღემდე საკამათოდ ითვლება. ათასჯერ ვნახეთ გამეორება, უახლესი ტექნოლოგიები ჩავრთეთ საქმეში, მაგრამ საბოლოო აზრი მაინც ვერ გამოვიტანეთ. ასე რომ, ამ ეპიზოდს ასე ცალსახად შეცდომებში ვერ გავიყვანთ, თუმცა არც სწორ გადაწყვეტილებებში ჩაგვითვლია – უბრალოდ, ლიად დავტოვეთ და სტატისტიკიდან ამოვიღეთ.

**- კამერებმა კიდევ არაერთხელ დაგვარწმუნეს მსაჯთა მცდარ გადაწყვეტილებებში: მაგალითად, ბერძენი კარაგუნისის გაძევება გავიხსეოთ პოლონელებთან, ან ხორვატ მანჯუკიჩზე სერხიო რამოსის უხეშობა საკუთარ საჯარიმოში, რომელიც რეფერიმ ვერ შენიშნა...**

- კონკრეტულ ეპიზოდებზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ჯობია, რომ არ მოვცდეთ. შეცდომები იყო და ამის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ მთლიანობაში, ევრო 2012-ზე მსაჯობის დონე ძალიან მაღალია. ამას არა მარტო მე, ყველა ექსპერტი ამბობს, მათ შორის, ევროპის უმაღლესი საფეხბურთო ორგანოს წარმომადგენლები.

**- უკრაინია-ინგლისის დაპირისპირებას მივუბრუნდეთ და დევიჩის გოლი გავიხსენოთ.: კარს უკან მდგომ მსაჯს ხომ სწორედ ასეთი ეპიზოდების განჭვრეტა ევალება და ფაქტია, რომ მოვალეობას თავი ვერ გაართვა; რა აზრი აქვს მაშინ ამ ექსპერიმენტს?**

- ექსპერიმენტი სწორედ იმას ნიშნავს, რომ ამ იდეის ავკარგიანობაში გვსურს დარწმუნება და საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მისაღები გვაქვს. კარის ხაზის არბიტრებმა ოთხ რთულ ეპიზოდში მიიღეს გადაწყვეტილება და აქედან სამი, ზუსტი აღმოჩნდა. თუნდაც იტალია-ირლანდიის მატჩი გავიხსენოთ, როდესაც არბიტრმა ანტონიო კასანოს გოლი ჩათვალა, არადა, ბურთმა სანტიმეტრებით გადაკვეთა კარის ხაზი. პირადად მე, ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბდი, ღირს თუ არა მსაჯთა რაოდენობის საბოლოოდ გაზრდა, მაგრამ ფაქტია, რომ სამ ეპიზოდში ამ ექსპერიმენტმა შესანიშნავად იმუშავა. რაც მთავარია, ჩვენ კითხვები დავუსვით ამ სადავო ეპიზოდებში მომუშავე ლაინსმენებსა თუ მთავარ არბიტრებს და მათი თქმით, კარის ხაზის მსაჯების მითითება რომ არა, ისინი მცდარ გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ.

**- და მაინც, ვიდეოგამეორების შემთხვევაში, ასეთი შეცდომები ხომ გამოირიცხება?**

- საქმეც მაგაშია, რომ არ გამოირიცხება, რადგან ხშირად კამერითაც შეუძლებელია რეალური სურათის განჭვრეტა. ეგ კი არა, გარკვეულ სიტუაციებში თანამედროვე ტექნოლოგიებიც უძლურნი არიან და ამაზე ზემოთაც ვისაუბრე, როდესაც საბერძნეთი-ჩეხეთის მატჩი გავიხსენეთ. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ 1966 წლის მუნდიალის ფინალის ცნობილი ეპიზოდი დღესაც განხილვის საგანია და იყო თუ არა იმ ეპიზოდში გოლი, ჯერაც არ ვიცით. რა ტექნოლოგიებით აღარ სცადეს რეალური სურათის მიღება, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო გამოდგა. თუ თქვენ ამბობთ, რომ ბურთში სპეციალური ჩიპი უნდა ჩამაგრდეს, ეს საუბრები მხოლოდ იდეის დონეზეა და ჯერ კიდევ კაცმა არ იცის, რა ჩიპზეა ლაპარაკი და როგორ უნდა ჩამონტაჟდეს ბურთში.

**- ვთქვათ და არის საშუალება ნებისმიერი ეპიზოდი ტექნოლოგიების მეშვეობით 100%-იანი სიზუსტით განისაზღვროს, ამ შემთხვევაში რა პოზიციას დაიჭერდით?**

- ტექნოლოგიების შემოღებას მაინც არ დავუჭერდი მხარს, რადგან ეს ფეხბურთის ფილოსოფიას ეწინააღმდეგება. შეცდომას ნებისმიერი პროფესიის ადამიანი უშვებს და გამონაკლისი არც მსაჯები არიან. როდესაც ფორვარდები 95.7%-იანი სიზუსტით დაარტყამენ მეტოქის კარის მიმართულებით, აი შემდეგ შეიძლება დავფიქრდეთ კიდეც სიახლეების დანერგვაზე.

**ლაშა წიკლაური**


პიერლუიჯი კოლინა

ეროვნული ამბები ბიბლიოთეკა




### ავიაბუმი დონეცკში

ესპანეთი-საფრანგეთის თამაშამდე, 22-23 ივნისს, დონეცკის აეროპორტში 160 თვითმფრინავს ელოდებიან, - იუწყება "უკრაინა 2012-ის" საორგანიზაციო კომიტეტი. მათში რეგულარული რეისებიც შედის, მაგრამ ციფრი მაინც შთამბეჭდავია. ლაპარაკია დაახლოებით 65 სპეციალურ რეისზე. გულშემატკივრებით სავსე ავიალაინერებს შემდეგი ქალაქებიდან ელოდებიან: გდანსკი, ბარსელონა, მადრიდი, პალმა დე მალიორკა, ბერლინი, ჰანოვერი, მიუნხენი, მოსკოვი, პეტერბურგი, ბუქარესტი, ჟენევა, პარიზი, ლონდონი, ვენა და ასე შემდეგ.

### ფეხბურთის მსხვერპლი

CHINA DAILY-ს ცნობით, ქალაქ ჩონშის მცხოვრები, ინგლისის ნაკრების თავგადაკლული გულშემატკივარი, 26 წლის **ცზიან სიაოშანი** ევროპის ჩემპიონატის დაწყებიდან პრაქტიკულად შეუსვენებლივ უყურებდა პირდაპირ რეპორტაჟებსა თუ ჩანაწერებს. ამ პერიოდის განმავლობაში მას თითქმის არ სძინებია. ცზიანი მხოლოდ ალკოჰოლს იღებდა და წარმოუდგენლად ბევრს ეწეოდა. მას მხოლოდ იტალია-ირლანდიის მატჩის შემდეგ ჩაეძინა და სამწუხაროდ, აღარ გაუღვიძია. ექსპერტიზის ცნობით, გარდაცვალების მიზეზი გახდა ორგანიზმის გამოფიტვა ხანგრძლივი უძილობისგან და სისხლში შაქრის კრიტიკულად დაბალი დონე, რამაც კომატოზური მდგომარეობა გამოიწვია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ამერიკელი სამხედრო ექიმების დასკვნით, ისეთ ჯარისკაცებშიც კი, როგორებიც არიან, მაგალითად, "მწვანე ბერეტები" და "ზღვის ლომები", 92-საათის განმავლობაში, მინიმუმ, 6 საათის ძილი აუცილებელია მათი ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა ჩვეულებრივი მოკვდავი.

### ევროპარლამენტი გამოძიებას მოითხოვს

"გარდიანის" ცნობით, ევროპარლამენტის წარმომადგენლები უეფასგან ევრო 2012-ის მოსამზადებელ ეტაპზე კორუფციის ფაქტების გამოძიებას ითხოვენ. ლაპარაკია, რომ სტადიონების, საფეხბურთო ბაზებისა და სხვა საჭირო ობიექტების მშენებლობებისას დაახლოებით 4 მილიარდი დოლარი თანამდებობის პირების ჯიბეებში დაილექა. წყარო თითს უკრაინული მხარისკენ იშვერს. ევროპარლამენტი მოითხოვს, გაირკვეს, თუ რატომ თქვა უარი ამ ქვეყანამ ინფრასტრუქტურის მშენებლობებისას ტენდერებზე და რატომ დაევალა მშენებლობა ძირითადად უცნობ კომპანიებს. უკვე ცნობილია, რომ ერთ-ერთი ასეთი ფირმა ისეთ საეჭვო ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული, როგორიც ბელიზია. პოლიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს კომპანიები ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენელთა საკუთრებაა

**ლევან ბიბილაშვილი**

იტალიის ნაკრები

# აძურას მცველები ინგლისთან მატჩზე

## რუნი დეტალებში შეისწავლეს

იტალიის ნაკრები ინგლისთან მეოთხედფინალური მატჩისთვის ემზადება და ეს პროცესი ღიაა, ყველასთვის გახსნილი და არა დაკეტილი, როგორც ეს ხშირად ხდება... შესაბამისად, ფეხბურთელები ჟურნალისტებთან თავისუფლად ურთიერთობენ და კომენტარებსაც უხვად არიგებენ. "კორიერე დელო სპორტს" **ლეონარდო ბონუჩი** გაესაუბრა და ინგლისთან მოახლოებულ პაექრობაზე გამოთქვა მოსაზრება – მოვუსმინოთ 25 წლის მცველს:

*"ინგლისის ნაკრები ჩვენსავით დაცვიდან თამაშობს, თუმცა ამავდროულად, ძალიან სახიფათოდ უტევს და მომენტებსაც უხვად ქმნის. უეინ რუნის სახით, ბრიტანელებს სუპერ-ფორვარდი ჰყავთ, დაცვაში კი მსოფლიო მასშტაბის ოთხეული ირჯება: გლენ ჯონსონი, ჯონ ტერი, ჯოლეონ ლესკოტი და ეშლი კოული. ჩემი აზრით, ინგლისელთა ყველაზე სუსტი რგოლი ნახევარდაცვაა და აი აქ კი მეტოქეს აშკარად დავჯაბნით. ამიტომ, ფავორიტად "სკუადრა აძურას" მივიჩნევ და მგონია, რომ ინგლისს აუცილებლად გავცდებით. თუმცა, გამარჯვება მხოლოდ მაქსიმალური კონცენტრაციით მოვა და ეს ყველას უნდა გვახსოვდეს".*

ლეონარდო ბონუჩი ძირითად შემადგენლობაში იქნება და დაცვის ცენტრში **ანდრეა ბარძალის** შეუწყვილდება, რადგან **ჯორჯო კიელინის** ტრავმა აქვს და თამაშამდე მომჯობინებას ვერ ახერხებს. ბონუჩის მსგავსად, პრესას ბარძალიც გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*"რუნის თამაში სულ დეტალებში შევისწავლეთ, რაც მის განეიტრალებაში ნამდვილად დაგვეხმარება. ჩეზარე პრანდელი ამით ანტონიო კონტეს ჰგავს, მეტოქე გუნდიდან ყველაზე სახიფათო მოთამაშეების ვიდეოფირებს გვაყურებინებს და გვიხსნის, ვის როგორ უნდა დავუპირისპირდეთ. მოკლედ, ინგლისთან და კერძოდ, რუნისთან სათამაშოდ 100%-ით მზად ვართ".*

**ლაშა წიკლაური**



1/4 ფინალი

# ევრო 2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია ნახევარფინალში შეისეირნა

### ...და იტალიას ან ინგლისს ელის!

**მატჩი №26. გდანსკი. არენა გდანსკი**

| გერმანია | საბერძნეთი |
|---|---|
| 4 | 2 |

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი, ჰუმელსი, ბადშტუბერი, ლამი – შვაინშტაიგერი, ხედირა – როისი (80. გიოტცე), იოზილი, შიურლე (67. მიულერი) – კლოზე (80. გომესი).

**საბერძნეთი (4-3-2-1):** სიფაკისი – ტოროსიდისი, კ. პაპადოპულოსი, პაპასტატოპულოსი, ცაველასი (46. ფოტაკისი) – მაკოსი (72. ლიბეროპულოსი), კაცურანისი, მანიატისი – ნინისი (46. გეკასი), სამარასი – სალპინგიდისი.

**გოლები:** 1:0 ლამი (39), 1:1 სამარასი (55), 2:1 ხედირა (61), 3:1 კლოზე (68), 4:1 როისი (74), 4:2 სალპინგიდისი (89-პენ)

**გაფრთხილება:** სამარასი, პაპასტატოპულოსი

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 9-10; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 26(12)-10(3); **ბურთის ფლობა:** 76%-24%.

**მაყურებელი:** 40 000

ესეც ასე: როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნებმა გერმანელებს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ბუნდესგუნდმა თავდაუზოგავად მებრძოლ, მაგრამ ძალიან უკლასო საბერძნეთს ფაქტობრივად უპრობლემოდ მოუგო - თუ, რა თქმა უნდა, პრობლემად არ მივიჩნევთ იმას, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში სამარასმა ანგარიში გაათანაბრა და გერმანელები სულ რაღაც ექვსი წუთი ანერვიულა. გერმანიის ნაკრებმა ამ გამარჯვებით ახალი რეკორდი დაამყარა – იოახიმ ლიოვის გუნდმა ზედიზედ მე-15 ოფიციალური მატჩი მოიგო. 34 წლისა და 13 დღის მიროსლავ კლოზე კი (120-ე მატჩი გერმანიის ნაკრებში) ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ბუნდესგუნდის ყველაზე ასაკოვანი გოლეადორი გახდა.

უშუალოდ ევრო 2012-ზე კი გერმანელებმა მეოთხე თამაში მოიგეს და უკვე ცხადია, რომ ნახევარფინალში ბრწყინვალე მატჩი, ევროპული სანაკრებო ფეხბურთის ნამდვილი კლასიკა გველის, რადგან გერმანიის მეტოქე ან ინგლისი იქნება, ანაც იტალია...

### ტაქტიკა/სტრატეგია

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლიოვმა საფეხბურთო ევროპა გააოგნა: მან სიკვდილის ჯგუფში სამივე მატჩის მომგები ძირითადი შემადგენლობა ერთბაშად 4 (!) პოზიციაზე შეცვალა. თუკი **ჟერომ ბოატენგის** სასტარტოში დაბრუნება ლოგიკას ექვემდებარებოდა (ამ უკანასკნელმა დანიასთან მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა), სამი გოლის გამტანი **მარიო გომესის** სათადარიგოთა სკამზე დასმა ერთობ მოულოდნელი გადაწყვეტილება გახლდათ, როგორც **ლუკას პოდოლსკისა** და **თომას მიულერის** ძირითადი თერთმეტეულიდან ამოგდება. მათ ნაცვლად ლიოვმა ცენტრფორვარდად კლოზე, მარჯვნივ **მარკო როისი**, ხოლო მარცხნივ **ანდრე შიურლე** გაამწესა.

ბერძენთა თავკაც **ფერნანდუ სანტუშის** მთავარი თავსატეხი დისკვალიფიცირებული კაპიტნის, **გიორგოს კარაგუნისის** შეცვლა იყო და პორტუგალიელმა სპეციალისტმა ვეტერანი ლიდერი **მაკოსით** ჩაანაცვლა, **გეკასის** ნაცვლად ძირითადში **ნინისი** გაამწესა, კაპიტნის სამკლავური კი კიდევ ერთ ვეტერანს, **კაცურანისს** გაუკეთა.



მესუთ იოზილი და მარკო როისი ბერძენთა კარში გატანილი მორიგი გოლით ხარობენ

### საუკეთესო ფეხბურთელი

**ფილიპ ლამი (გერმანია)**

ბუნდესგუნდის კაპიტანი დაცვის მარცხენა ფლანგზე შეუდარებელი იყო და დროის უმეტესი ნაწილი შეტევებში გაატარა, ფილიპი ხშირად იერიშების ერთ-ერთ უმთავრეს ორგანიზატორადაც კი გვევლინებოდა. რაც ყველაზე მთავარია, **ლამმა** სწორედ იმ დროს გაიტანა ბრწყინვალე გოლი, როცა ბერძნებმა საკუთარი ძალები ირწმუნეს და უფრო და უფრო თამამად მოქმედებდნენ. ლამი მეორე ტაიმშიც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მასთან ერთად, გამორჩეულად კარგები იყვნენ **მესუთ იოზილი** და **სამი ხედირა**.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

**მიხალის სიფაკისი (საბერძნეთი)**

ბერძენთა კარის დარაჯს პირველიდან ბოლო წუთამდე ნერვიულობა ეტყობოდა – ბურთს ხელებში ვერ იმაგრებდა, რის გამოც კლოზემ კინაღამ ანგარიში გახსნა. სხვათა შორის, **სიფაკისი** არც ლამის გოლის დროს გამოიყურებოდა კარგად, თუმცა პირდაპირ მასაც ვერ დავადანაშაულებთ. სამაგიეროდ, ასი პროცენტით მის სინდისზეა კლოზეს გოლი – სიფაკისმა კარიდან გამოსვლა და რეაგირება დააგვიანა.

### მსაჯი

სლოვენიელ **დამირ სკომინას** სამარასი ადრევე, კერძოდ, ხედირასთან ორთაბრძოლის მერე უნდა გაეფრთხილებინა, მაგრამ აშკარად დაინდო, რაც ბერძენთა შემტევმა ნახევარმცველმა ვერ შეირგო და მოგვიანებით, **შვაინშტაიგერთან** ორთაბრძოლის გამო გააყვითლეს. აბსოლუტურად მართებული გადაწყვეტილებები იყო მე-4 წუთზე კლოზეს გოლის არჩათვლა (მირო თამაშგარეში იყო) და მატჩის მიწურულს გერმანიის ნაკრების კარში პენალტის დანიშვნაც. მოკლედ, სკომინამ ნორმალურად იმსაჯა, მაგრამ აქვე ვთქვათ, რომ ეს არ იყო რთულად განსასჯელი მატჩი.

### მწვრთნელების დუელი

შესავალშიც ვთქვით, რომ ლიოვმა მოულოდნელ რისკზე წასვლით და ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელის სკამზე დასმით ყველა გააოცა. გომესის ნაცვლად კლოზეს გამწესება ალოგიკური გადაწყვეტილება ნამდვილად არ ყოფილა, რადგან გუშინ „ბავშვმაც კი იცოდა", რომ ბერძნები უკიდურეს დაცვით ფეხბურთს ითამაშებდნენ, ასეთი მეტოქის წინააღმდეგ კი გერმანიას კლოზეს დარი მოძრავი და ასე ვთქვათ, მუშა ფორვარდი უფრო სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, ეს ვაჟკაცური გადაწყვეტილებაც იყო, რადგან ლიოვმა სკამზე სამი გოლის ავტორი ფორვარდი დასვა.

» მე-10 გვერდზე







აქცია "დაბალი ფასების ჩემპიონატი"
ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია
აქცია ძალაშია 2012 წლის 18 ივნისიდან
LCD 26AV703 66სმ 499 TOSHIBA
LCD LE26C350D1 66სმ 529 SAMSUNG
LCD LE26D450G1 66სმ 549 SAMSUNG
LCD KLV-26BX300R 66სმ 549 SONY
LCD 32AV703 81სმ 549 TOSHIBA
LCD LE32C350D1 81სმ 599 SAMSUNG
LCD 32AV733 81სმ 599 TOSHIBA
LCD LE32C530F1 81სმ 649 SAMSUNG
LCD KLV-32NX400 81სმ 649 SONY
LCD TX-LR32C20 81სმ 649 Panasonic
LCD 32PFL3605H/12 81სმ 649 PHILIPS
LCD KLV-32EX402 81სმ 699 SONY
LCD TX-LR32U20 81სმ 699 Panasonic
LCD 32PFL5405H/12 81სმ 699 PHILIPS
LCD LE32C630K1 81სმ 699 SAMSUNG
LCD 37XV733 94სმ 899 TOSHIBA
LCD KLV-32BX300R 81სმ 599 SONY
LCD 37PFL5405H/12 94სმ 899 PHILIPS
LCD LE37C630K1 94სმ 949 SAMSUNG
LCD 40LV733 102სმ 949 TOSHIBA
LCD LE40B551A6 102სმ 999 SAMSUNG
LCD KLV-40EX402 102სმ 999 SONY
LCD LE40C530F1 102სმ 1049 SAMSUNG
LCD 42PFL3605H/12 107სმ 1049 PHILIPS
LED UE46C6000R 117სმ 1699 SAMSUNG
Plasma TX-PR42C2 107სმ 899 Panasonic
Plasma PS43D450A2 109სმ 899 SAMSUNG
Plasma PS50C550G1 127სმ 1299 SAMSUNG
Plasma TX-PR50U20 127სმ 1399 Panasonic
Prima TS 2181 54სმ 169ლ.
Prima TS 2192 54სმ 179ლ.
THOMSON TS 21181 PF 54სმ 179ლ.
TS 21181 SL 54სმ 199ლ.
THOMSON TS 29181 PF 72სმ 229ლ.
TS 29B06 SL 72სმ 279ლ.
იჩქარეთ!!! რაოდენობა შეზღუდულია...
საუკეთესო ხარისხის 1000-ზე მეტი დასახელების საქონელი
გორი, გურამიშვილის №1. ტელ: 0-370-224-257 - ახალი
ბათუმი, პუშკინის №108. ტელ: 0-422-293-129 - ახალი
თელავი, ვარდოშვილის №1. ტელ: 2-238-662 - ახალი
ვარკეთილი. სავ. ცენტრი "ფრესკო". ტელ: 2-236-007
დიღომი, ბელიაშვილის 8. ტელ: 2-518-815
საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39. ტელ: 2-236-008
ისანი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, ტელ: 2-478-676
გლდანი, სავ. ცენტრი "ევრაზია". ტელ: 2-478-673
სავ. ცენტრი "კიდობანი", პავ. 27. ტელ: 2-478-690
სავ. ცენტრი "მეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
UEFA EURO2012 POLAND-UKRAINE
ჩვენმა ტელევიზორებმა "ევროპაზეც" გაგვიყვანა...
ამ ფაქტს მიესალმებიან კუხლევიან და ამირანა.
SAMSUNG TOSHIBA SONY Hotpoint ARISTON Panasonic THOMSON PHILIPS TEFAL INDESIT Rowenta Moulinex
ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია
ტელ: 2 518 815

# ევრო 2012



# გერმანიამ ნახევარფინალში შეისეირნა

## ...და იტალიას ან ინგლისს ელის!

« მე-8 გვერდიდან

თუკი კლოზეს გამოჩენას კიდევ ველოდით, შიურლესა და როისის ბუნდესგუნდის ძირითადში ხილვაზე ალბათ არავის უფიქრია. არადა, ლიოვმა დანიასთან მატჩის შემდეგ თავისი ნახევარმცველები გააკრიტიკა – ზოგიერთი ხეირიან პრესინგს ვერ აკეთებს და დიდი მონდომებით არ იხსნებაო. როგორც ხედავთ, ლიოვს მიულერი და პოდოლსკი უგულისხმია... შიურლემ ბევრი იშრომა, მაგრამ საბოლოო ჯამში დიდი ვერაფერი იყო, აი, როისმა კი დაამტკიცა, რომ გასულ სეზონში ბუნდესლიგაში შემთხვევით არ უფრენია. მარკოს იოზილთან, შვაინშტაიგერთან და ხედირასთან შეუთამაშებლობა ოდნავადაც არ დასტყობია. უაღრესად პროდუქტიული იყო კლოზეც – მოკლედ, ვისაც ლიოვი ხელს დაადებს, ყველა საოცრად კარგად თამაშობს!

სანტუშმა იოგის სასტიკი დაცვა დაუპირისპირა: ბერძენთა ერთადერთი და ისიც მხოლოდ ნომინალური თავდამსხმელი **სალპინგიდისი** გახლდათ. საბერძნეთის ნაკრებს ამ თამაშის მოგება დაცვაში კომპაქტურად დგომით და კონტრშეტევებით სურდა. პირველი ტაიმის პირველ ნახევარში ბერძნების კონცეფცია, შეიძლება ითქვას, ამართლებდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანელები თავიანთ მომენტებს ვერ იყენებდნენ. მეორე ტაიმში სანტუშმა მოედანზე ნაღდი ფორვარდი, **თეოფანის გეკასი** გამოიყვანა, სალპინგიდისი კი ნახევარდაცვაში დააბრუნა. შესაბამისად, ბურთის ფლობისას ბერძენთა ტაქტიკური სქემა დიახაც 4-3-3 გამოდიოდა... თუმცა, ეს მხოლოდ ფურცელზე და მას მერე, რაც გერმანელები მეორედ დაწინაურდნენ, საბერძნეთის ნაკრები საფინალო სასტვენამდე სტატისტის როლში დარჩა.

### ანალიზი

გერმანია პირველივე წუთებიდან უდიდეს უპირატესობას დაეუფლა, ლიოვის ბიჭებმა ბურთის ფლობის 70-პროცენტიანი მაჩვენებელი დაიჭირეს და არაერთი საგოლე მომენტი გაანიავეს. გერმანელებს საბერძნეთის ნაკრების უკანა ხაზში ხვრელების პოვნა არ უჭირდათ და ეს განსაკუთრებით ხედირასა და იოზილზე ითქმის, რომლებიც მოედნის ცენტრში დომინირებდნენ. მესუთი ძალიან ბევრს მოძრაობდა, პასებს ანაწილებდა, ხედირა და შვაინშტაიგერი კი მას შესანიშნავად აზღვევდნენ.

ბერძნები, რა თქმა უნდა, დაცვაში იდგნენ. გერმანიის ნაკრების ნახევარზე პრესინგს მხოლოდ სალპინგიდისი მიმართავდა და ისიც იშვიათად – როცა ბურთს ლიოვის ბიჭები ეუფლებოდნენ, ბერძნები მათ თავდაპირველად აკვირდებოდნენ და მხოლოდ მერე იწყებდნენ მოქმედებას. საბერძნეთის ნაკრები რეალურ პრესინგს თავისი კარიდან მხოლოდ 25-30 მეტრში მიმართავდა...

გერმანელთა იერიშებისას აშკარა იყო ის, რომ შიურლე მეტწილად ინდივიდუალურად ცდილობდა ფონს გასვლას, როისი კი გაცილებით გუნდური მოთამაშეა. „გლადბახიდან" „დორტმუნდისკენ" გეზალებული გარემარბი ხშირად ცენტრშიც ინაცვლებდა და ამით ბერძენთა უკანახაზელებს კიდევ უფრო მეტად აბნევდა. შიურლეზე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სწორედ ამ უკანასკნელმა დაკარგა ის ბურთი, რომელიც სამარასმა **მანუელ ნოიერის** კარში გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმი გერმანელებმა შედარებით მოკრძალებულად დაიწყეს, რის გამოც დაისაჯნენ კიდეც, მაგრამ ლიოვის ბიჭების სასარგებლოდ უნდა ვთქვათ, რომ სამარასის გოლის შემდეგ მაშინვე გამოცოცხლდნენ, ჩვეულ სტილში შეუტიეს და ტაბლოზე ლოგიკური შედეგი დააფიქსირეს.

### დასკვნა

გერმანიას 1-2 გოლით მეტის გატანაც შეეძლო. საბერძნეთის ნაკრები შეტევაში იმდენად უმაქნისია, რომ გვიკვირს, საერთოდ როგორ ახერხებს ეს გუნდი გოლების გატანას...

**გოტფრიდ ლენცი**



● ჩეხეთის ნაკრები

# ბაროში ნაკრებიდან

## რას გადაწყვეტს, როსიცკიმ ჯერ თავადაც არ იცის

ევრო 2012-იდან გამოვარდნის შემდეგ ჩეხეთის ნაკრების 30 წლის თავდამსხმელმა **მილან ბარომშმა** დაასრულა საერთაშორისო კარიერა და გზა ეროვნულ გუნდში ახალგაზრდებს დაუთმო, - განუცხადა Sport.cz-ს ნახევარმცველმა **დანიელ კოლარჟმა** - *"პორტუგალიასთან შეხვედრის შემდეგ ყველანი გასახდელში ვიყავით, როცა მილანმა ყველას გასაგონად თქვა, რომ ნაკრებიდან მიდის. ეს იმდენად ემოციური მომენტი იყო, რომ ყველას ტირილი გვინდოდა. ფეხზე წამომდგარი მას ტაშს ხუთი წუთის განმავლობაში ვუკრავდით"*. ბაროშს დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 2001 წელს ჰქონდა. მას მერე ფეხბურთელმა 92 შეხვედრაში 41 გოლი გაიტანა. მასზე, როგორც უნიჭიერეს თავდამსხმელზე 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაიწყეს წერა, როცა მილანი 5 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**ტომაშ როსიცკის პორტუგალიასთან ტრავმის გამო არ უთამაშია. ინტერვიუ მან იმავე Sport.cz-ს მისცა.**

- რა თქმა უნდა, ძალიან დამწყდა გული, რომ გამოვვარდით და თანაც გუნდს ვერაფრით დავეხმარე ვერც ახლა და ვერც წინა მატჩში პოლონეთთან.

**- იყო პორტუგალიასთან მოგების შანსი?**

- მიმაჩნია, რომ მეტოქემ გამარჯვება დაიმსახურა. ამ გუნდმა, ბრწყინვალე კრიშტიანო რონალდოსთან ერთად, გზა აბსოლუტურად ლოგიკურად განაგრძო. მარცხის მიუხედავად ყურები არც ჩვენ უნდა ჩამოვყაროთ. ჯგუფიდან გასვლა უკვე დიდი მიღწევა იყო.

**- რას იტყვით ამ ნაკრების მომავალსა და 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მის შანსებზე?**



ბაროში (მარჯვნივ) ნაკრებიდან წავიდა. რას იზამს როსიცკი?

- პირადად მე ჯერ არ გადამიწყვეტია, განვაგრძობ თუ არა ნაკრებში თამაშს. ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში მომხიბლავი პერსპექტივაა, მაგრამ ჩემი ასაკის ბევრი ფეხბურთელი უკვე აღარ თამაშობს ნაკრებში. მეც სერიოზულად მომიწევს ამ საკითხზე დაფიქრება.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ევროს მიღმა



ოლივიე ჟირუ მალე ოფიციალური მეთოფე გახდება

# თითქმის მეთოფე

"არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** ტელეკომპანია TF1-ის ეთერში განაცხადა, რომ **ოლივიე ჟირუს** ტრანსფერი მისმა კლუბმა დიდწილად უკვე სრულყო. "მონპელიეს" მიერ საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში ფეხბურთელმა ლომის წილი დაიდო. მის ანგარიშზე ლიგა 1-ის 36 შეხვედრაში 21 გოლი და 9 საგოლე გადაცემა იყო. ამჟამად ფეხბურთელი დონეცკში საფრანგეთის ნაკრების დროებით ბაზაზეა და ესპანეთის ნაკრებთან დაპირისპირებისთვის ემზადება. *"მართალია, ოლივიეს საფრანგეთის ნაკრებში დიდი დატვირთვა არ აქვს, მაგრამ ის თითქმის უკვე "არსენალშია". ვფიქრობ, ის განსაკუთრებული პოტენციალის ფეხბურთელია და ჩვენს გუნდში ადაპტაციას იოლად გაივლის. ჟირუ კლასიკური გუნდური მოთამაშეა და მშვენივრად ესმის, როგორ უნდა გახდეს მაქსიმალურად სასარგებლო თანაგუნდელებისთვის,"* – განაცხადა ვენგერმა.

ბუნებრივია, ოლივიე ჟირუს გაუჭირდება **რობინ ვან პერსის** შეცვლა, თუკი ჰოლანდიელმა მაინც გადაწყვიტა "ემირატსთან" განშორება. მოგეხსენებათ, ფრანგის გარდა, ვენგერმა უკვე გადაიბირა გერმანელი **ლუკას პოდოლსკი**, ვისაც ერთნაირად ეფექტურად შეუძლია თამაში როგორც თავდამსხმელად, ისე შემტევ ნახევარმცველად. აი, რას ამბობს ჩრდილოლონდონელთა ახალწვეული: *"ვენგერი წარმატებას ყველგან აღწევდა და რა თქმა უნდა, მწვრთნელის ფაქტორმა ჩემს გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონია. მან რამდენიმე ენა იცის, მათ შორის გერმანული, რაც მე ძალიან შემიწყობს ხელს. ვენგერს რამდენჯერმე ტელეფონზე ჯერ კიდევ ტრანსფერამდე ველაპარაკე. ინგლისში თამაში არ გამიჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბუნდესლიგის დონემ საგრძნობლად მოიმატა და წამყვან ლიგებს უკვე ბევრით აღარ ჩამორჩება. ვფიქრობ, დღეს სწორედ პრემიერლიგაა ყველაზე ძლიერი ჩემპიონატი. იქ რამდენიმე ძალიან მაღალი დონის გუნდი გამოდის და ბევრი საინტერესო მატჩი იმართება"*.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ევროს მიღმა. ამბები

### ვილაშ ბოაში ადგილს ვერ პოულობს

**ანდრე ვილაშ ბოაში** "ტოტენჰემთან" მოლაპარაკებების შეწყვეტას აპირებს და ამისთვის მას ორი საფუძვლიანი მიზეზი აქვს: 1. "დეზები" პარალელურად სხვა მწვრთნელებთან ან მათ აგენტებთან აწარმოებენ მოლაპარაკებას, მაგალითად, **ლორან ბლანთან, რობერტო მარტინესთან** და **რალფ რანგნიკთან,** რაც მის პატივმოყვარეობაზე ცუდად მოქმედებს. 2. პორტუგალიელის მთავარი პრეტენზია კი იმას უკავშირდება, რომ ლონდონელები თანახმანი არიან **ლუკა მოდრიჩის** გაყიდვაზე. მათ ხორვატ ფეხბურთელში მინიმუმ 40 მილიონი ევროს მიღება სურთ. ამდენის არა, მაგრამ 35 მილიონის გადახდაზე ყაბულსაა მადრიდის "რეალი". თანაც, ეს ტრანსფერი განხორციელდება იმის მიუხედავად, დარჩება თუ არა გუნდში **კაკა**. თავად ფეხბურთელი "ტოტენჰემიდან" "რეალში" გადასვლას მოუთმენლად ელის.

### ლივერპული აძურელს ეკურკურება

"სანის" ცნობით, "ლივერპულმა", შესაძლოა, "პარმას" მალე მიმართოს ოფიციალური წინადადებით "სკუადრა აძურას" 21 წლის თავდამსხმელის **ფაბიო ბორინის** ტრანსფერთან დაკავშირებით. ფეხბურთელს საკლუბო საქმეების მოსაგვარებლად არ სცალია, რადგან ის **ჩეზარე პრანდელის** განკარგულებაშია და ევროპის ჩემპიონობისთვის იბრძვის. ფაბიომ გასული სეზონი "რომაში" იჯარით გაატარა, სადაც 12 გოლის გატანა მოახერხა. ის უფრო ცენტრალური თავდამსხმელია, თუმცა ფლანგებზეც შეუძლია ასპარეზობა. ბორინი "წითლების" თავკაც **ბრენდან როჯერსს** ჯერ კიდევ "ჩელსის" დუბლებში ასპარეზობის დროიდან იცნობს.

**ლევან ბიბილაშვილი**

### იუვემ ტურნე გააუქმა

ტურინის "იუვენტუსის" მესვეურებმა ჩრდილო-ამერიკული ტურნე გააუქმეს, რომელიც ივლისის ბოლოს უნდა დაწყებულიყო და აგვისტოს შუა რიცხვებამდე გაგრძელებულიყო. ტურნეს ფარგლებში, "იუვეს" სამი ამხანაგური მატჩი უნდა ჩაეტარებინა – 28 ივლისს ვაშინგტონში "დი-სი იუნაიტედის" წინააღმდეგ, 31 ივლისს მონრეალში პსჟ-ს წინააღმდეგ და ბოლოს, 5 აგვისტოს ლას ვეგასში მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ. თუ რატომ გააუქმეს ტურნე ტურინელებმა, ამის შესახებ კლუბის სპორტული დირექტორი უკეთ გიამბობთ – მოვუსმინოთ ჯუზეპე მაროტას:

*"ძალიან გვინდოდა ჩრდილოეთ ამერიკაში გამგზავრება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ამას ვერ მოვახერხებთ. ყველაზე მთავარი კალენდარი გახლავთ, რადგან სეზონი იმაზე უფრო ადრე იწყება, ვიდრე ამას ჩვენ მოველოდით. იტალიის სუპერთასის პაექრობა "რეალთან" დაგეგმილი ამხანაგური მატჩიდან ერთი კვირის თავზე დაგვინიშნეს და თანაც პეკინში; თავად განსაჯეთ, რამხელა გზა უნდა გაგვევლო ამ მოკლე მონაკვეთში და შემდეგ, ტიტულისთვის გვებრძოლა. მოკლედ, უმჯობესია, რომ ასეთ ხანგრძლივ ფრენებს და მომქანცველ მოგზაურობებს თავი ავარიდოთ და ახალი სეზონისთვის უფრო მშვიდად მოვემზადოთ. მართალია, ამით საკმაოდ სოლიდურ შემოსავალზე ვამბობთ უარს, მაგრამ გუნდის ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას"*.

აქვე ვთქვათ, რომ ოფიციალურად დადასტურდა **სებასტიან ჯოვინკოს** "იუვენტუსში" დაბრუნების ამბავი. ტურინული გრანდის საიტზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სებას ტრანსფერი 11 მილიონი ევრო დაჯდა და კონტრაქტსაც უკვე მოეწერა ხელი. ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუ რამდენ მილიონ ევროს მიიღებს ფეხბურთელი წლიურად, თუმცა ვფიქრობთ, ფეხბურთის ნამდვილი გულშემატკივრებისთვის ეს ნაკლებად საინტერესოა.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკებში

# მშვენიერი დასაწყისი

## 6-დან 4 მედალი

გუშინ ბიჭები სამ წონით კატეგორიაში ჭიდაობდნენ და **გია თენაძე** ნამდვილად ბედნიერი იყო - სამივე წონის ფინალში სამი შეგირდი ჰყავდა. ალბათ, ის კმაყოფილი ყველაზე მეტად არხოზაშვილის გამოსვლით იყო - ეს ბიჭი 55-ში გამოდიოდა და საქართველოს ბრინჯაოს მედალოსანიცაა, მაგრამ მწვრთნელებს სამი სრულფასოვანი შეგირდი ჰყავდათ და ამიტომ არხოზაშვილი 50-ში დასწიეს. ექსპერიმენტმაც გაამართლა - 50-ში საქართველოს ჩემპიონი კუპატაძე წარუმატებლად გამოვიდა, ახალი კაცი კი ევროპის ჩემპიონია. არადა, მეოთხედფინალში იტალიელ **ანჯელო პანტანოს** სასტვენამდე სამად სამი წამით ადრე გაუკეთა იპონი. არანაკლებ დაძაბული ბრძოლა მოიგო ფინალში გერმანელ **მორიტც პლაფკისთან** - შეხვედრის დაწყებისთანავე გდება ჩაატარა, რომელიც მსაჯმა იპონად შეაფასა და ჩვენებური ჩემპიონობას ზეიმობდა, მაგრამ ვიდეოგამეორების შემდეგ ეს ილეთი ვაზარად შეაფასეს. გერმანელმა ანგარიში გაქვითა, თუმცა ბოლო წუთებში არხოზაშვილმა მორიგ ვაზარზე გამოცელა და მაინც იზეიმა გამარჯვება. მთლიანობაში მან 5-დან 4 შეხვედრა იპონით მოიგო.

სამი ფინალისტიდან ბოლო შეხვედრაში მხოლოდ ნათათრალაშვილი დამარცხდა, რაც საკუთარ თავს უნდა დააბრალოს - ფინალში აზერბაიჯანელმა **ილკინ ბაბაზადამ** სამჯერ გაუკეთა ერთი და იგივე ტიპის შეტევა, მაგრამ ვერაფერი დაუპირისპირა, საკმაოდ ერთფეროვნად იჭიდავა. მისი ხსნა თითქოს აქტიურ ჭიდაობაში იყო, რადგან მეტოქე დაიღალა და ჩვენებურმა ზედიზედ სამჯერ გააფრთხილებინა, რითაც ვაზარის ჩამორჩენაც ამოუქაჩა. მას კიდევ უნდა გაეგრძელებინა შეტევა და ასეც აკეთებდა. მესამე გაფრთხილებიდან პირველივე მისვლაზე მეტოქე ისევ ჩააგდო მუხლებზე და არბიტრმაც სათათბიროდ უხმო გვერდითებს. თითქოს მეოთხე გაფრთხილებასაც აპირებდა, მაგრამ დაინდო და შეხვედრაც დამატებით დროში გაგრძელდა, იქ კი ჩვენებური შეცდა - ბაბაზადამ კონტრილეთზე დაიჭირა და დაახლოებით იმავე ილეთით დააიპონა, რითაც ძირითადში გავიდა ფონს. არადა, ნათათრალიშვილს წინასწარებში ურიგოდ არ უჭიდავია - ჰოლანდიელი **გლენ კოპერი** და სერბი **მილან ბუნჩიჩი** იოლად დააიპონა, ფრანგი **დაიკი ბოუბა** ჭიდაობით აშკარად დაჩაგრა, ნახევარფინალში გერმანელი **დევინ ვანდებურგი** კი იოლად დააიპონა.

გარკვეულწილად, გაუმართლა მჭედლიშვილს - ფინალში ბელარუსი **დმიტრი მინკოუ** ფეხში შესვლისთვის მოუხსნეს, თორემ იმ წუთისთვის ვაზარიუკოს აგებდა. წინასწარები ამანაც კარგად ჩაატარა - შვედ **ჯოელ მანკოვიტცს** წმინდად აჯობა, ფრანგ **ჟოლან ფლორიმონტს** იუკოთი მოუგო, რუს **მანუჩერ კოდირის** გაფრთხილებებით დათმობილი იუკო გდებით გაუთანაბრა, მერე კი ამავე ხარისხის მეორე ფანდით მოუგო, ნახევარფინალში სერბი **მარკო გრანდიჩი** კი ჭკვიანური ჭიდაობით წმინდად დაამარცხა.


ნათათრალაშვილი (თეთრი) ბოუბას ამარცხებს

ვფიქრობთ, კაციაშვილსა და უდესიანს არ გაუმართლათ - მალ-მალე მოუწიათ ზედიზედ რამდენიმე შეხვედრის ჩატარება და დასვენება ვერ მოასწრეს. უდესიანი ორი მოგების შემდეგ ჯერ მინკოუსთან დამარცხდა, მერე - აზერბაიჯანელ **ილკინ მამადოვთან**. კაციაშვილმა ორი სუფთა მოგების შემდეგ ზემოხსენებულ ბაბაზადასთან წააგო, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი ასევე ზემოხსენებული გერმანელი ვანდებურგი მშვენივრად ჩახვეული ფეხით ეფექტურად დააგდო ბეჭებზე. წლეულს ის ახალ წონაში ჭიდაობს და მისი მედალი ამიტომაცაა საყურადღებო.

დღეს ბარში ჩვენი ბიჭებიდან **ბაჩანა ბოლქვაძე** (66), ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **თამაზ კირაკოზაშვილი** და **ზურაბ ლომიძე** (ორივე - 73) ჭიდაობენ. დღესვე იასპარეზებს ქართველი გოგოების დუეტი - **მარიამ ჯანაშვილი** და **გურანდა შოთაძე** (ორივე - 57). სამივე ბიჭი პირველ შეხვედრას ფრანგთან ჩაატარებს - ბოლქვაძე **დიმიტრი შოქუს** ეჭიდავება, კირაკოზაშვილი - კრისტ გენგლოუს, ლომიძე - **ალფა ოუმარ ჯალოს**. ჯანაშვილი ხორვატ **ვისნია რაიჩიჩს** ხვდება, შოთაძე - დანიელ **სიფ ბოუჯუს**.

ხვალ ჩვენგან მხოლოდ ბიჭები იასპარეზებენ - **ნიკა მოველიძე, ნიკოლოზ შერაზადიშვილი** (ორივე - 81), **გიორგი გველესიანი, დავით რამაზაშვილი** (90), **გიორგი ძებისაშვილი** და **ზაზა გოჯიაშვილი** (+90).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ყაზარაშვილის ტურნირი

# რუსთავი მასპინძლობს

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონ თემურ ყაზარაშვილს მშობლიურმა რუსთავმა წლეულსაც მიაგო პატივი - გუშინ იქაურ სპორტის სასახლეში გაიხსნა სახელოვანი ფალავანის სახელობის XVII საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის.

მასპინძელთა გარდა შეჯიბრებაში 9 ნაკრები მონაწილეობს: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, ლიტვა, რუმინეთი, თურქეთი, ირანი, ყაზახეთი და ეგვიპტე, სადაც თავად ყაზარაშვილი მუშაობდა მწვრთნელად. მოდიოდა ინდოეთის გუნდიც, მაგრამ სატრანსპორტო პრობლემების გამო დროულად ვერ ჩამოუსწრეს შეჯიბრებას. რომ არა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ახალი ნოვაცია - 210-დოლარიანი გადასახადი ყოველ მოჭიდავეზე, მონაწილეთა რაოდენობა ბევრად მეტი იქნებოდა, ახლა კი სრული გუნდებით ჩამოსვლა არათუ უცხოელებმა ვერ შეძლეს, მასპინძლებიც არ გამოდიან უწინდებურად ბევრი მოჭიდავით. ამის მიუხედავად, ტურნირში 103 მოზარდი ჩაება, აქედან 42 მასპინძელია. სრული გუნდებით აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი გვესტუმრნენ. სამაგიეროდ, უცხოელმა მწვრთნელებმა ვინც ჩამოიყვანეს, ყველა ისეთია, ევროპის პირველობაზე ჭიდაობა ლამის განაღდებული რომ აქვთ, ანუ ტურნირი შემადგენლობით ძლიერია, ეს კი მისწრებაა ჩვენი მოზარდებისთვის. თუმცა ასეთ სოლიდურ შეჯიბრებაში წარმატების მიღწევაც ჭირს და დღეს მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ოქრო მოიპოვეს - 85 კილოგრამში ქუთაისელმა **სულხან ბუიძემ** გაიმარჯვა. 50-58 კილოგრამებში ოქროები აზერბაიჯანელებმა მოიპოვეს, 42-სა და 69-ში - სომხებმა.

ტურნირი ხვალ დამთავრდება.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის პირველობა ახალგაზრდებში

# ახალი ნაკრები

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის, რომელშიც დღეს ბერძენ-რომაელები ჩაებმებიან.

საქართველოს ღირსებას **დავით სანიკიანი** (50), **რამაზ სურმანიძე** (55), **ფირუზ წულუკიძე** (60), **გიორგი დავითაია** (66), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **იაკობ ქაჯაია** (960 და **ლევან არაბული** (120) დაიცავენ. დღეს ჩვენგან სანიკიანი, წულუკიძე, გობაძე და ქაჯაია იჭიდავებენ, დანარჩენები კი - ხვალ, ჩემპიონატის ბოლო დღეს.

შეგახსენებთ, რომ ზაგრებში უკვე დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შეჯიბრება, სადაც ჩვენმა ნაკრებმა ერთი ბრინჯაო მოიპოვა - **ჯუმბერ ყველაშვილმა** (74). აქვე ბერძენ-რომაელთა შარშანდელ ახალგაზრდულ ევრომონაგარსაც შეგახსენებთ - 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო. კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები **ნიკა ცეცხლაძე** (50) და **საჩინო დავითაია** (66) გახდნენ, **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და **სანდრო დიხამინჯია** (96) კი მესამეზე გავიდნენ, ოღონდ წლეულს ოთხივემ ეროვნულ ნაკრებში გადაინაცვლა.

მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

# მეორედ დაკარგული ლიცენზია

## ერთი მოგება - ლონდონამდე

საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრებს ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის ბრძოლაში ისევ ხელი მოეცარა და კვლავაც შარშან მსოფლიოს პირველობაზე მოპოვებული ერთი საგზურის ამარა დარჩა. არადა, ამერიკულ ოგდენში მიმდინარე მსოფლიოს თასის რიგით მესამე გათამაშებაში, რომელიც, პარალელურად, სალიცენზიო ტურნირიცაა, სანუკვარ მიზნამდე ერთადერთი მოგება აშორებდათ! მას შემდეგ, რაც გუნდური შეჯიბრების პლეი ოფში ზედიზედ დაამარცხეს გერმანიისა და საფრანგეთის ძლიერი გუნდები, საბოლოო წარმატება არც ისე შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ჩვენები ჯერ ნახევარფინალში დამარცხდნენ მექსიკასთან, მერე კი იაპონიასთანაც დათმეს მესამე ადგილისთვის შეხვედრა. ამით გუნდმა ლიცენზიების მოპოვების ყოველგვარი შანსი დაკარგა, რადგან იმ ერთადერთი საგზურის გამო გუშინ გამართულ ინდივიდუალურ სალიცენზიო შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, იქ **ლაშა ფხაკაძემ** გაგვაოცა, რომელიც მერვედფინალში გავიდა და თავიდან იქაც იგებდა.



იაპონია-საქართველოს შეხვედრა

## ორი მარცხი მექსიკასთან

ოგდენში ჩვენს ქალებს მექსიკელები ნამდვილ რისხვად ექცნენ, რომლებმაც გუშინწინ ორჯერ მოგვიგეს - ჯერ საკუთრივ მსოფლიოს თასზე, მერე კი გვიან ღამით - სალიცენზიო ტურნირში. სალიცენზიოში გერმანელთა და ფრანგთა ძლევაზე გუშინ გაცნობეთ, რაზეც აღარ შევჩერდებით, თუმცა ამ ორი ალსანიშნავი გამარჯვებით გამოწვეული ოპტიმიზმი მალევე გაგვინელდა - სამწუხაროდ, ნახევარფინალში ჩვენებმა მექსიკასთან რევანში ვერ შეძლეს და მორიგი გმირობით ველარ გაგვახარეს.

პირველი შეხვედრის დარად, მექსიკელები ახლაც თავიდანვე დაწინაურდნენ - პირველი ნახევრის, ანუ ორი პერიოდის შემდეგ 109:101 გვიგებდნენ. ბოლო ორ სერიაში ჩვენებმა მდგომარეობა ოდნავ გამოასწორეს და ორივე მოიგეს, მაგრამ - ბევრად მცირე უპირატესობით და პირველ ნახევარში დაკარგულის ანაზღაურება ვერ შეძლეს. მექსიკელთა საბოლოო წარმატება უკვე მესამე პერიოდის შემდეგ გაცხადდა - ქართულმა ტრიომ ეს სერია 52:50 კი მოიგო და საერთო ანგარიში 2 ქულით შეამცირა- 153:159, მაგრამ დარჩენილ სერიაში ექვსქულიანი ჩამორჩენის აღმომფხვრელები არ ჩანდნენ. მართლაც, ბოლო პერიოდში ჩვენებმა მხოლოდ მინიმალური სხვაობით იმარჯვეს - 54:53, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც მექსიკელებს დარჩათ: 212:207.

## ლონდონის გზა იაპონიამ ჩაგვიხერგა

წაგების მიუხედავად, ჩვენებს სალიცენზიო სამეულში მოხვედრის შანსი მაინც რჩებოდათ - საამისოდ ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში იაპონელები უნდა დაემარცხებინათ. ორთაბრძოლა ქართველთა უპირატესობით დაიწყო - პირველი სეტი 55:52 მოიგეს, მაგრამ მერე გუნდი აირია, მოიშალა და შედეგებსაც უკლო. მომდევნო სამ სეტში მათ ერთხელაც ვერ გადააბიჯეს 50-ქულიან ზღვარს და 49, 48, 48 ქულა დააგროვეს. 8-იანებს თავი დავანებოთ, ამ გადამწყვეტ ეტაპზე ორჯერ 7-იანი, თითოჯერ კი 6-იანი და სულაც 5-იანი გაარტყეს! ამ ფონზე იაპონელთა გამარჯვება ლოგიკურია - 212:200. ამდენად, ჩვენებმა შარშან მსოფლიოზე მომხდარის შემდეგ, როცა მასპინძელ იტალიასთან მოგებული შეხვედრა გადაათამაშებინეს, რაც საგზურების დათმობად დაგვიჯდა, მეორედ დაკარგეს ლიცენზიები.

## ფხაკაძის გაელვება

ლაშა ფხაკაძის პროგრესზე ბოლო ხანებში ხშირად გვიწევს წერა და ამ 18 წლის ბიჭმა ახლაც გაგვაოცა, თუმცა მისმა დასანანმა წაგებამ სინანულიც დაგვიტოვა... გუშინ ინდივიდუალურში ჩვენი ვაჟებიდან პლეი ოფში სამივე გავიდა. ფხაკაძე პირველ წრეში ისვენებდა, პირველი სიურპრიზი კი შესარჩევში 126-ზე გასულმა **თორნიკე რიჟამაძემ** შემოგვთავაზა - **ხალიდ ალ-ჰაზმი** საუდის არაბეთიდან თავდაპირველი ჩამორჩენის შემდეგ ზედიზედ სამ სეტში დაამარცხა და მომდევნო წრეში გავიდა. **ირაკლი ქვლივიძემ** პირველი წრე ვერ გადალახა - ლატვიელ **იანის ამატნიეკსთან** 3:7 დამარცხდა. 1/24-ფინალში რიჟამაძემ სლოვაკ **დანიელ კრამაცეკთან** 0:6 წააგო, სამაგიეროდ, ფხაკაძემ გაიბრწყინა - შვეიცარიელ **დომინიკ ფაბერს** 7:1 სძლია, რუმინელ **ალექსანდრუ იონუტ პოპესკუს** - 6:2. ის მერვედფინალში კვლავ შვეიცარიელს შეხვდა - **აქსელ მიულერს**. ამ შეხვედრაში პირველი და მესამე პერიოდები ფრედ დასრულდა, მეორე ფხაკაძემ 29:25 მოიგო და სამი პერიოდის შემდეგ 4:2 დაწინაურდა. სამწუხაროდ, მომდევნო ორში ცუდად ისროლა, 26 და 25 ქულა აჩვენა, მეტოქე კი ბევრად სოლიდურად ისროდა და გამარჯვებაც მას დარჩა - 6:4. საწყენია, ფხაკაძესაც ერთი მოგება რომ დააკლდა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, თუმცა ამ ბიჭის გამოსვლა გვაიმედებს, რომ 2016 წელს რიოში ვაჟებშიც გვეყოლება მონაწილე.

## ქვრივიშვილი უკვე რიოზე ფიქრობს

სალიცენზიო ტურნირი აშშ-ს ნაკრებმა მოიგო, თუმცა მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით, რადგან მექსიკელებთან ძირითადი დროც და დამატებითიც ფრედ დასრულდა - 213:213; 27:27. ძალზე დრამატულად წარიმართა დამატებითი სერია, სადაც სამივე მონაწილე თითო ისარს ისვრის. პირველი ორი ცდის შემდეგ მექსიკელები 19:17 დაწინაურდნენ, მაგრამ მესამე ცდაზე მათმა წარმომადგენელმა 8-იანს გაარტყა, ამერიკელმა **ჯენიფერ ნიკლოშმა** - 10-იანს და ანგარიში გაათანაბრა - 27:27. საბოლოოდ ნიკლოშის ეს 10-იანი ორმაგად ფასეული გამოდგა, რადგან ანგარიშის გათანაბრების გარდა, გამარჯვების მომტანიც აღმოჩნდა - ორივე გუნდს თითო 10-იანი ჰქონდა, მაგრამ ნიკლოშისა უფრო ახლოს იყო ცენტრთან და მოგებულიც ამან გამოავლინა. ამერიკელთა გუნდში კვლავაც გამოდიოდა საქართველოდან წასული ოლიმპიური პრიზიორი (ჩვენი სახელით) **ხათუნა ლორიგი** (**ქვრივიშვილი**), რომლის შვილი - **ლევანი** იქაურთა ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდის. ხათუნა იმედოვნებს, რომ დედა-შვილი 2016 წელს აშშ-ს ღირსებას ერთად დაიცავენ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე.

ამდენად, ოლიმპიადაზე ქალთა ტურნირში ადრევე გასულ იტალიას, ინდოეთს, ჩინეთს, კორეას, რუსეთს, დანიას, ბრიტანეთს, ტაივანს და უკრაინას ამჯერად მექსიკა, აშშ და იაპონია დაემატნენ. გერმანია და საფრანგეთი თითო მონაწილით დავტოვეთ - გერმანელთაგან მსოფლიოს მესამე პრიზიორი **ელენა რიხტერი** გამოვა, ფრანგთაგან - ევროპის ექს-ჩემპიონი **ბერენჟერე შუ**, ვინაც შარშან მსოფლიოზე ბრინჯაოსთვის ბრძოლაში რიხტერთან დამარცხდა. ანგარიშგასაწევი გუნდებიდან თითო მონაწილე ეყოლებათ პოლონეთს, ესპანეთს, ბელარუსს, ინდონეზიას, მალაიზიას, ჩილეს, კოლუმბიას...

**გვერდი მოამზადა**

**ირაკლი თავაძე**

● ცურვა. მაქსიმალის თასი

# იმრავლეთ!

**სანყლოსნო** კომპლექს „ოლიმპიკის" აუზში გუშინ დაიწყო და ხვალ დამთავრდება მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირი „მაქსიმალის თასზე". შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებისთვის ჭიათურის, საჩხერის, ჭორვილის, გორის, რუსთავის, აჭარის და თბილისის კლუბების — „ტონუსის", „ლაგუნა ვერეს", „ოლიმპიკის", „სპორტ-თაიმის", „ქარიშხალას", „ნეპტუნის", „დილმისა" და ვაკის საცურაო აუზის 160-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს. მასპინძლებს კვარცხლბეკზე ასვლაში აზერბაიჯანელი და სომეხი სპორტსმენები ეცილებიან.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ბოლო წლებში ცისფერ ბილიკებზე ამდენი მოცურავე არასდროს გამოსულა. ჯილდოებისთვის გოგო-ბიჭები ოთხ ასაკობრივ ჯგუფში იბრძვიან. I ჯგუფში 1995 წელს და უფრო ადრე დაბადებული ვაჟები და 15 წლისა და უფროსი გოგონები ასპარეზობენ. II ჯგუფში - 1996-1998 წლებში დაბადებული ვაჟები და 1998-2000 წლებში დაბადებული გოგონები, III ჯგუფში: 12-13 წლის ვაჟები და 10-11 წლის გოგონები, IV ჯგუფში — 11 წლისა და უმცროსი ბიჭები და 2003 წელს და უფრო გვიან დაბადებული გოგონები. ისინი მხოლოდ 50 მეტრზე იასპარეზებენ.

ასაკობრივმა დაყოფამ გამოიწვია ის, რომ ზოგიერთ დისტანციაზე თითო-ოროლა გოგო-ბიჭი მონაწილეობს, ზოგან კი საგულისხმო კონკურენციაა. ყველაფერი იმ მიზნით კეთდება, რომ გამოვლინდეს ნიჭიერი, პერსპექტიული მოცურავეები. განსაკუთრებული ყურადღება თბილისში 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე მონაწილეთა ასაკს ეთმობა. შეჯიბრების პირველ დღეს განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით პეკინის ოლიმპიადის მონაწილეების — **ირაკლი რევიშვილისა** და აზერბაიჯანელ **ევგენი ლაზუკას** პაექრობამ. სტუმარი 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის მრავალგზის პრიზიორია. ყოფილი ოლიმპიელების დუელი ჩვენებურის გამარჯვებით დასრულდა.

საგულისხმოა ისიც, რომ თბილისის ტურნირი ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის წინ **ირაკლი ბოლქვაძისთვის, დავით სიხარულიძისა** და **თეიმურაზ კობახიძისთვის** ძალთა ბოლო შემოწმებაა. ამ შეჯიბრებას 4-8 ივლისს ანტვერპენი (ბელგია) უმასპინძლებს. ბოლქვაძეს თბილისური და ბელგიური ბატალიები ლონდონის ოლიმპიადისთვის უკეთ მოსამზადებლად გამოადგება.

**პირველი დღის შედეგები**

**გოგონები. 50 მ. გულაღმა. IV ჯგ.** 1. თამარ მეგრელიძე (რუსთავი, 44,59), 2. ანა ბუხრიკიძე (გორი, 51,18), 3. მარი კახაძე (დიღომი, 51,78). **100 მ. თ/ყ. I ჯგ.** 1. ელენე უნდილაშვილი (დიღომი, 1.10,98), 2. სოფო სალარაძე (ტონუსი, 1.11,63), 3. ოქსანა ბელოვა (რუსთავი, 1.13,59), **II ჯგ.** 1. ნინო მეზვრიშვილი (გორი, 1.12,80), 2. კრავაი კერვალიშვილი (ტონუსი, 1.14,31), 3. ნატა ჯაფარიძე (ტონუსი, 1.14,75). **III ჯგ.** 1. ელენე ბერაია (სპორტ-თაიმი, 1.14,68), 2. მარი ხუტუნიშვილი (ჭიათურა, 1.33,03), 3. ანა თოიძე (ვაკე, 1.34,89). **200 მ. ბრასი. I ჯგ.** 1. ვანე კარხანი (სასომხეთი, 2.53,68). **II ჯგ.** 1. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 3.01,89), 2. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 3.04,82), 3. ქეთი გიორგაძე (ტონუსი, 3.15,75). **III ჯგ.** 1. რუსუდან გოგინაშვილი (3.21,03), 2. თეონა ომიაძე (ორივე — რუსთავი, 3.40,11), 3. ქეთევან გაგნიძე (3.41,81). **200 მ. ბატერფლაი. II ჯგ.** 1. მარიამ ობოლაშვილი (რუსთავი, 3.25,50). **400 კომპლექსი. II ჯგ.** 1. მარიამ ზუბიაშვილი (საჩხერე, 6.18,72), 2. მეგი ხათაშვილი (გორი, 6.24,99), 3. თეონა ბოსტაშვილი (რუსთავი, 6.28,10). **ამანათცურვა 4X50 მ. თ/ყ.** 1. ტონუსი (ნატა ჯაფარიძე, ქეთი ყამარაული, კრავაი კერვალიშვილი, სოფი სალარაძე) — 2.11,64, 2. რუსთავი — 2.19,89, 3. სპორტ-თაიმი — 2.23,32.

**ვაჟები. 50 მ. გულაღმა. IV ჯგ.** 1. გაგა ჩიტიძე (საჩხერე, 41,34), 2. გიორგი თავაძე (გორი, 43,00), 3. ბადრი ხათიძე (ნეპტუნი, 43,16). **100 მ. თ/ყ. I ჯგ.** 1. ირაკლი რევიშვილი (თბილისი, 52,89), 2. ევგენი ლაზუკა (აზერბაიჯანი, 53,68), 3. გიორგი ბუხრიკიძე (გორი, 57,48). **II ჯგ.** 1. ზაურ არქანია (აზერბაიჯანი, 56,69), 2. ვლადიმერ მამიკონიანი (სომხეთი, 58,14), 3. დათო შახნაზაროვი (ლაგუნა ვერე, 58,93). **III ჯგ.** 1 ირაკლი კვარაცხელია (1.04,84), 2. საბა მდივანი, (1.07,41), 3. ვახტანგ ბლუაშვილი (სამივე — ტონუსი, 1.09,31). **800 მ. თ/ყ. I ჯგ.** ირაკლი ბოლქვაძე (ტონუსი, 9.09,78). **II ჯგ.** 1. ნიკა ყაულაშვილი (რუსთავი, 10.37,56), 2. გაგა გრძელიშვილი (საჩხერე, 11.03,73), 3. ბექა ხეჩუმაშვილი (დიღომი, 11.26,12). **III ჯგ.** 1. ოთარ ივანაშვილი (11.54,69), 2. ნიკა კაციტაძე (ორივე — საჩხერე, 12.30,88). **200 მ. ბრასი. I ჯგ.** 1. გიორგი მთვრალაშვილი (ტონუსი, 2.41,81), 2. ოგანეს გუკასიანი (სომხეთი, 2.50,21), 3. რუსლან გატამხანოვი (აზერბაიჯანი, 3.02,40). **II ჯგ.** 1. ლუკა კერვალიშვილი (2.31,81), 2. ირაკლი ჭარბაძე (ორივე — ტონუსი, 2.52,18), 3. ზაურ ბადალაშვილი (რუსთავი, 3.12,03). **III ჯგ.** 1. ილია პაპიძე (ლაგუნა ვერე, 2.56,60), 2. ლევან ბახტურიძე (საჩხერე, 3.21,76), 3. რატი კერვალიშვილი (ტონუსი, 3.24,54). **200 მ. ბატერფლაი. I ჯგ.** 1. თემურ კობახიძე (ლაგუნა ვერე, 2.16,31). **II ჯგ.** 1. აკაკი ვაშაკიძე (რუსთავი, 2.21,64), 2. ბაჩანა ტყემალაძე (ჭიათურა, 3.14,47). **III ჯგ.** 1. ლუკა პატარაია (რუსთავი, 2.48,43), 2. უჩა წერეთელი (ოლიმპიკი, 3.11,28). **400 მ. კომპლექსი. I ჯგ.** 1. დავით სიხარულიძე (5.04,32). **II ჯგ.** 1. ვასილ ხიზანიშვილი (ორივე — ტონუსი, 5.31,03). **ამანათცურვა 4X50 მ. თ/ყ.** 1. აზერბაიჯანი (ორხან მამედოვი, ბორის კირილოვი, ზაურ არქანია, ევგენი ლაზუკა) — 1.39,5, 2. ტონუსი — 1.40,41. 3. ვეტერანების გუნდი — 1.40,77.

ვაჟა **დანელია**

● ჭადრაკი

# ლიდერობს არუთინიანი

ჯერმუკში კარენ ასრიანის მემორიალის მე-7 ტურში თბილისელი დიდოსტატები — **კონსტანტინე შანავა** და **დავით არუთინიანი** ყაიმზე შეთანხმდნენ და მოწინავე პოზიციები შეინარჩუნეს, რადგან ლიდერთა ჯგუფის სხვა წარმომადგენლებმაც მდგომარეობის გამწვავებას დაზავება არჩიეს: ჰრანტ მელქუმიანი — ზავენ ანდრიასიანი 0,5:0,5, სამველ ტერ-სააკიანი — ავეტიკ გრიგორიანი 0,5:0,5. **სოფიკო გურამიშვილი**, რომელსაც 4 ქულა ჰქონდა არტაშეს მინასიანთან დამარცხდა. **დავით მალალაშვილმა** რაფაელ ბაკუნცს აჯობა **დავით ლომსაძე** და **გაიოზ ნიგალიძე** დაზავდნენ.

შვიდი ტურის შემდეგ: არუთინიანი — 6, შანავა — 5,5, გურამიშვილი, მალალაშვილი — 4-4, ლომსაძე, ნიგალიძე — 3,5-3,5 ქულა.

ვაჟა **დანელია**

# ჩვენი ოთხეული მეწინავეთა შორისაა

ნიუ იორკში მარშალის საჭადრაკო კლუბის ინიციატივით გრძელდება მე-5 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ოთხი ქართველი მონაწილეობს.

უკვე გათამაშდა 3 ტური. უდანაკარგოდ მასპინძელი დავინ იანგი დაწინაურდა, რომელმაც ზედიზედ სძლია ბენჯამენ კრაუჩეს, ადრაშ იაჩაკუმასა და ერიკ როსენს. 14-მა მოჭადრაკემ 2,5-2,5 ქულას მოუყარა თავი. მათ შორის — **თამაზ გელაშვილმა, გიორგი ყაჭეიშვილმა, მიხეილ კეკელიძემ** და **ნიკოლოზ მანაგაძემ**.

გელაშვილმა, რომელიც უკეთესი კოეფიციენტით მეორე ადგილზეა, ალისა მელიოხინა და კაშა კორლეი დაამარცხა, ხოლო ნიკოლოზ მანაგაძეს დაუზავდა. ამ უკანასკნელმა ოსკარ მალდონადოს და კრისტოფერ გუს გააჩერებინა საათი. გიორგი ყაჭეიშვილმა რიჩარდ ტუნრიგსა და ალან სთეინს სძლია, ვიქტორ შენთან კი ქულა გაიყო. სამი პარტიიდან ორი მოიგო (გრეგორი მარკზო, კოლომბა ვიტოუქსი), პირველ ტურში კი რენატო ნარანჯასთან ყაიმს დასჯერდა.

ვაჟა **დანელია**



● მოსაზრება



# როდის გვეღირსება...

**მთელი** გაზაფხულია ერთი და იგივე გვესმის: ჟურნალისტები სუსტები ხართ, კალათბურთის ფედერაცია რომ დაგპირდათ, ახალი სანაკრებო ლეგიონერის ვინაობას ერთ კვირაში გეტყვითო, სადაა?

ამას მოსდევს კრიტიკული კომენტარები, თავდახრილი ელით ფედერაცია როდის მოისურვებს და სანაკრებო სიას გაგაცნობთო. სიმართლე გითხრათ, თავდახრილი არავინ ელის, ერთ-ერთი კანდიდატის, **დორონ პერკინსის** შესახებ რომ შევიტყვეთ, იტალიელ ჟურნალისტს დავუკავშირდით და მასთან დავაზუსტეთ. გაირკვა, რომ დორონი მართლაც მუშაობს ევროპული პასპორტის მიღებაზე, სავარაუდოდ, საქართველოსაზე.

თბილისიდან არაერთმა ჟურნალისტმა დაურეკა პერკინსის თანაგუნდელებს, **მანუჩარ მარკოიშვილსა** და **გიორგი შერმადინს**, რომლებიც ნამდვილად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. აი, რატომ: კალათბურთის ფედერაცია პერკინსთან ურთიერთობას არ ახმაურებს, ამ დროს შესაძლოა მანუმ და გიორგიმ ყველაფერი იციან (თუ მართლა დორონია, უნდა იცოდნენ). გამოდის, ფედერაციის დაფარული კალათბურთელებმა უნდა გაამჟღავნონ?

თუნდაც ასეთი სიტუაციის თავიდან ასარიდებლად ფედერაციიდან შესაძლოა გამოსულიყო ცნობა — დორონი არა, სხვა ჩამოგვყავს. ან — პერკინსთან მოლაპარაკება მიდის, მაგრამ ცოტა დაგვაცადეთო...

ამასობაში რუსულ თუ ინგლისურენოვან საიტებს ყოველდღიურად ვქექავთ, იმ იმედით, რომ სადმე ნაკრების მომავალი წევრის ვინაობას გადავეყრებით, მაგრამ ამაოდ. ერთხელ კი გაგვიმართლა: 2006 წელს საქართველოს ნაკრების მწვრთნელად თურმე **ჯეი ტრაიანო** დანიშნულა, ჩვენ ეს ინტერნეტში აღმოვაჩინეთ და ჟურნალისტური ტერმინი რომ გამოვიყენოთ - ყველას დავასწარით.

ისიც გვესმის, რომ სასურველი ლეგიონერის მოძებნა რთული საქმეა, საჭიროა იმაზე უკეთესი იყოს, ვინც გასულ ეტაპზე გვყავდა, ხასიათიც კარგი უნდა ჰქონდეს, სამქულიანის სროლა იცოდეს. მაგრამ ქართული ფილმის გმირისა არ იყოს: „შენ რო გყავ, იმაი რო ჰყავ?!" მაკედონიას **ბო მაკალები** ჰყავს, ბოსნიას **ჰენრი დომარკანტი** ჰყავდა, ბულგარელები ყოველწლიურად ერთმანეთზე უკეთეს ამერიკელებს იმატებენ, შორს რად მივდივართ - აგერ აზერბაიჯანელებმა სწორედ იმ ტიპის და იმ დონის უცხოელი დაიმატეს, როგორიც ჩვენი აზრით, საქართველოს ნაკრებს სჭირდება - კარგი მსროლელი მადრიდის „რეალიდან", **ჯეის ქეროლი**. სამქულიანებში მანუჩარს ჯეისი რომ მიეხმარებოდა, რომელი მეტოქე დაგვიდგებოდა პერიმეტრზე?

მეორე საკითხია, გვინდა თუ არა ამერიკელი. თუმცა, ეს თემა დახურულია — გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრებს ლეგიონერი სჭირდება. დავაზუსტებთ — კარგი ლეგიონერი.

უცხოელს თავი დავანებოთ, ჩენი გუნდი 1 ივლისს თბილისში არასრული შემადგენლობით იკრიბება. ნუთუ ნაკრებში ჯერ არავინ მიუწვევიათ? ხომ შეიძლება ქართული გვარები მაინც გამოცხადდეს, შემდეგ ლეგიონერზე ითქვას. ერთს ხომ ორი სჯობს. სად ერთხელ რომ დატრიალდება საკალათბურთო ამბები მედიაში და სად - ორჯერ. მეტი რეკლამა სპორტის ამ სახეობას თუ არ არგებს, ნამდვილად არ აწყენს.

ვაჟა **სიმონიშვილი**

● აღიარება

# პირველი ლიგის ჩემპიონიც და საუკეთესო ცენტრიც



**უკრაინის** პირველ ლიგაში სეზონი დაასრულა ქართველმა თავდამსხმელმა **დავით მაისურაძემ**. იგი 2008 წლიდან უკრაინაშია, ჯერ „ბუდიველნიკის" ღირსებას იცავდა, 2009-დან 2011 წლამდე „სტრიბაში" თამაშობდა, ახლად დასრულებულ სეზონში კი „კიროვოგრადის" მაისურით გამოდიოდა.

შარშან „სტრიბასთან" ერთად დათომ პირველ ლიგაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო წლეულს „კიროვოგრადს" ჩემპიონობა მოაპოვებინა. სიტყვა „მოაპოვებინა" გადამეტებული სულაც არ არის, რადგან მაისურაძე გუნდის სასტარტო მეფარე იყო და ლიგაში სეზონის საუკეთესო ცენტრადაც დასახელდა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ დავით მაისურაძე 1990 წელსაა დაბადებული და სხვადასხვა დროს ჩვენი ქვეყნის 16, 18 და 20-წლამდელთა ნაკრებში თამაშობდა. იგი უკრაინაში წასვლამდე საქართველოს ჩემპიონატში გამოდიოდა: 2007-08 წლების სეზონში „დინამოში" ირჯებოდა, ხოლო 2006-07-ში - სტუ-ში. მანამდე ორი წელი ლიტვაში, **შარუნას მარჩულიონისის** აკადემიაში გაატარა.

ვაჟა **სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ალაფი

# ერთი ნაბიჯი ფინალამდე

**საქართველო-ზიმბაბვე 43:7**

**საქართველო:** 15. საბა ნიკოლავა, 14. ზურაბ ძნელაძე, 13. მერაბ შარიქაძე, 12. გიგა გაგოშვილი, 11. ლევან გოგოლაშვილი, 10. გოდერძი ჭინჭარაული, 9. ვაჟა ხუციშვილი. 1. არჩილ ბეჟაშვილი, 2. ვაჟა თაგაური, 3. ზაზა ნავროზაშვილი, 4. მინდია ელგუჯაური, 5. სანდრო ქოიავა, 6. ელგუჯა სურგულაძე, 7. ბექა მამრიკიშვილი, 8. ლაშა ლომიძე.

16. გიორგი თეთრაშვილი, 17. დავით ხიდეშელი, 18. ვახტანგ ახობაძე, 19. გურამ შენგელია, 20. გიორგი მისრიაშვილი, 21. გიორგი ბასილაია, 22. ბახვა კობახიძე.

ვლ: შარიქაძე (2), გოგოლაშვილი (3), ძნელაძე. 5გ: ნიკოლავა (4), კობახიძე. ს: ნიკოლავა.

სინბინი: ელგუჯაური.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე" ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩში ზიმბაბვეს ნაკრები დაამარცხა - 43:7. ჩვენმა მორაგბეებმა მეტოქეს 6 ლელო გაუტანეს და ერთი პრემიალური ქულაც ირგუნეს.

თამაში საკმაოდ მძიმედ დაიწყო. „უმცროსი ბორჯღალოსნები" პირველივე წუთზე დაჯარიმდნენ, თუმცა მეტოქემ 40 მეტრიდან კარში ზუსტად ვერ დაარტყა. სამაგიეროდ, სამ წუთში ზუსტი იყო ჩვენი ფულბეკი **საბა ნიკოლავა**. ანგარიში საჯარიმოთი სწორედ მან გახსნა - 3:0.

ზიმბაბვეს ნაკრები, ცხადია, დანებებას არ აპირებდა. რამდენჯერმე მოგვეძალა, მაგრამ ჩვენი გუნდის 22-მეტრიან ზონაში შეღწევაც ვერ შეძლო. საქართველოს ნაკრებმა თამაშის დალაგებას დაახლოებით 15 წუთი მოანდომა. ამ დროის განმავლობაში „უმცროსი ბორჯღალოსნები" რაკში თამაშისას ხშირად ჯარიმდებოდნენ, იმდენად, რომ არბიტრმა ჩვენი გუნდი კაპიტანი **მერაბ შარიქაძე** ორჯერ იხმო და სიტყვიერად გააფრთხილა.

პირველი ლელო ჩვენმა ბიჭებმა 23-ე წუთზე გაიტანეს. მათ მეტოქის 22-მეტრიანი ზონის ხაზთან დერეფანი მოიგეს, მოლი შეკრეს, 15 მეტრი იარეს, მერე თამაში რაკში გადავიდა, იქიდან გამოტანილი ცხრა ნომერმა **ვაჟა ხუციშვილმა** მარცხნივ, მოკლე ფრთაზე გარემარბ ლევან გოგოლაშვილს გადააწოდა, რომელიც მეტოქის ლელოში სწრაფად შეიჭრა. ნიკოლავამ გარდასახა 10:0.



მორიგი ლელოს გასატანად ჩვენს გუნდს რვა წუთი დასჭირდა. მოედნის ცენტრთან ახლოს ბურთი შერკინების მესამეხაზელმა **ლაშა ლომიძემ** მიიღო, რომელმაც მეტოქის ხაზი გაჭრა და 22-მეტრიან ზონამდე იარა. მერე შეტევა მარჯვენა ფრთაზე გაგრძელდა, იქ მორკინალთა ორი მოკლე დარტყმის შემდეგ, ხუციშვილმა ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანა, აქ შუამარბმა მერაბ შარიქაძემ იყოჩაღა, მეტოქეს ცრუ მოძრაობით ხელიდან დაუსხლტა და ჩათვლის მოედანში შეაღწია. ნიკოლავამ ესეც გარდასახა - 17:0.

მესამე ლელო, რომელიც ხუთ წუთში გავიტანეთ, ისევ შარიქაძის ანგარიშზეა. მარჯვენა ფრთაზე გარემარბმა **ზურაბ ძნელაძემ** მეტოქის დაცვას აჯობა და მოედნის საკუთარი ნახევრიდან ზიმბაბველთა 22-მეტრიან ზონამდე ირბინა. ძნელაძე სწორედ იქ შებოჭეს. შეტევა მარცხენა, გრძელ ფრთაზე ლომიძემ განაგრძო, ისიც მალევე შეაჩერეს. წარმოქმნილი რაკიდან ხუციშვილმა კიდევ უფრო მარცხნივ შარიქაძეს გაუტანა ბურთი. მისი შეჩერება კი მოწინაალმდეგემ ველარ მოახერხა. ნიკოლავამ გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 24:0. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ „უმცროსი ბორჯღალოსნები" კიდევ უფრო აქტიურად ათამაშდნენ და ორ წუთში, მეოთხე, საპრემიო ქულის მომტანი ლელო მიითვალეს. ჩვენმა მორაგბეებმა მეტოქის 22-მეტრიან ზონაში შერკინება მოიგეს და ხუციშვილმა ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე მგეზავ **გოდერძი ჭინჭარაულს** გაუტანა, ამან მოსხეპით კიდისკენ, გოგოლაშვილს გადააწოდა, რომელმაც მეორე ლელო მიითვალა. ნიკოლავამ ამჯერადაც ზუსტად დაარტყა გარდასახვა - 31:0.

გოგოლაშვილმა 63-ე წუთზე ჰეთრიკი შეასრულა. თუმცა მანამდე, როცა არბიტრმა მეორეხაზელი **მინდია ელგუჯაური** გაასინბინა და როცა კაცნაკლული ვიყავით, ზიმბაბვემ ლელო გაგვიტანა, რომელიც გარდასახეს კიდეც. გოგოლაშვილის ლელო კი, რომელიც ჩვენი მორაგბეების მრავალფაზიან, კარგ შეტევას მოჰყვა, შეცვლაზე შესულმა ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** გარდასახა - 38:7.

თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" მეექვსე ლელოც გაიტანეს, რომელიც კიდევ ერთი უკანახაზელის ზურაბ ძნელაძის ანგარიშზეა.

ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს საქართველოს ნაკრები 26 ივნისს იაპონიის ნაკრებთან გამართავს. ამ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი გუნდი ფინალში გავა.

ტესტები



სამხრეთ აფრიკა-ინგლისი

# დაპირისპირება: სამხრეთი-ჩრდილოეთი მთავრდება

**ივნისის ტესტების ბატალიები ამ უქმეებზე მთავრდება. სამხრეთ აფრიკის ნაკრები, ბოლო, მესამე მატჩს პორტ ელიზაბეტში ინგლისის ეროვნულ გუნდთან გამართავს. წინა ორ შეხვედრაში „ბოკებ" გაიმარჯვა და, სავარაუდოდ, „პომებს" არც ახლა დაუთმობს რამეს.**

ინგლისელებმა სამხრეთ აფრიკაში ბოლოს 12 წლის წინათ მოიგეს და მას შემდეგ „ბოკეს" დამარცხებას ვერაფრით ახერხებენ. **სტიუარტ ლანკასტერის** განვრთნილმა გუნდმა მეორე დაპირისპირებაში მასპინძლებს სერიოზული პრობლემები კი შეუქმნა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სამხრეთაფრიკელებმა **ჰეინკე მეიერის** ხელმძღვანელობით მხოლოდ მეორე მატჩი გამართეს.

ერთ რამეში ყველა თანხმდება, „ბოკე" დღესდღეობით გაცილებით უკეთესი ხარისხის რაგბის თამაშობს, ვიდრე შარშან შემოდგომაზე ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში. ჰეინკე მეიერი კი ირწმუნება, რომ ეს მაქსიმუმი არ არის და მის გუნდს ბევრად უკეთ თამაში შეუძლია.

ახალი ზელანდიის ნაკრები ევროპის კიდევ ერთ წარმომადგენელს, ირლანდიის ეროვნულ გუნდს ჰამილთონში დაუპირისპირდება. ერთი კვირის წინათ ქრაისტჩერჩში „ოლ ბლექს" გამარჯვების მიღწევა ძალიან გაუჭირდა. მაშინ მასპინძლებს მგეზავის **დენ კარტერის** ფეხბურთბინობამ უშველათ. ახალზელანდიელები ეცდებიან, დაამტკიცონ, რომ თამაშის გაჭირვებით მოგება შემთხვევითობა იყო. ქომაგებს იმედი აქვთ, რომ მათი სათაყვანებელი გუნდი „სამყურებს" დამაჯერებლად დაამარცხებს.

„ოლ ბლექსის" კაპიტანი **რიჩი მაქოა**, რომელიც ნაკრებში 105-ე კეპს მოიხვეჭს, მისთვის უჩვეულო, რვა ნომრის პოზიციაზე ითამაშებს. დაშავდა და ირლანდიის ნაკრებთან მატჩში გუნდს დააკლდება მთავარი მექულე დენ კარტერი.

ავსტრალიის ნაკრები ორი კვირის წინათ შოტლანდიასთან მარცხის შემდეგ გონს მოეგო და „სკოტებზე" გაცილებით ძლიერ უელსის ნაკრებს ორჯერ ზედიზედ სძლია. „წითელი ურჩხულები" „ნარშავების" გმირობის გამეორებას ბოლო, მესამე მატჩში სიდნეიში შეეცდებიან.

**სამხრეთ აფრიკა-ინგლისი**

**სამხრეთ აფრიკა:** 15. ხიო ეპლონი, 14. ჯი პი პიტერსენი, 13. იან დე ფილიერსი, 12. ვინანდ ულიფიე, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. ფრანსუა ჰუგარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ბისმარკ დუ პლესი, 3. იანი დუ პლესი, 4. ევან ეცბესი, 5. იუანდერ კრუხერი, 6. მარესლ კუცია, 7. იაკო პოთხიტერი, 8. პიერ სპისი.

16. ადრიან სტრაუსი, 17. ვერნერ კრუხერი, 18. ფილიპ ფან დერ მერვე, 19. რაიან კანკოვსკი, 20. რუან პინარი, 21. ელტონ იანტისი, 22. ბიორნ ბესონი.

**ინგლისი:** 15. ალექს გუდი, 14. კრის ეშტონი, 13. ჯონათან ჯოზეფი, 12. მანუ ტუილაგი, 11. ბენ ფოდენი, 10. ტობი ფლუდი, 9. დენ კერი. 1. ჯო მარლერი, 2. დილან ჰართლი, 3. დენ კოლი, 4. ტომ პალმერი, 5. ჯო პერლინგი, 6. ტომ ჯონსონი, 7. ჯეიმზ ჰესკელი, 8. ტომას ვალდრომი.

16. ლი მეარსი, 17. პაულ დორან ჯოუნზი, 18. მორის ბოთა, 19. ფილი დოუსონი, 20. ლი დიქსონი, 21. ოუენ ფარელი, 22. ბრედ ბარიტი.

**ავსტრალია-უელსი**

**ავსტრალია:** 15. ქართლი ბეილი, 14. ადამ ეშლი-კუპერი, 13. რობ ჰორნი, 12. პეტ მაკკები, 11. დიგბი იოანი, 10. ბერიკ ბარნსი, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. ტატაფუ პოლოტა ნაუ, 3. სეკოპე კეპუ, 4. სტალეკი ტიმანი, 5. ნათან შარფი, 6. სკოტ ჰიგინბოთამი, 7. დევიდ პოკოქი, 8. ვიკლიფი პალუ.

16. სტივენ მური, 17. ბენ ალექსანდერი, 18. რობ საიმონსი, 19. დეივ დენისი. 20. მაიკლ ჰუპერი, 21. ნაის ვაითი, 22. ენტონი ფაინგაა.

**უელსი:** 15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ალექს კატბერტი, 13. ჯონათან დევისი, 12. ეშლი ბეკი, 11. ჯორჯ ნორსი, 10. რის პრისტლენდი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. გეტინგ ჯენკონსი, 2. მეთიუ რისი, 3. ადამ ჯოუნზი, 4. ბრედლი დევისი, 5. ალუნ ვინ ჯოუნზი, 6. დენ ლიდიატი, 7. სემ ვერბარტონი, 8. რაიან ჯოუნზი.

16. კენ ოუენსი, 17. პაულ ჯეიმზი, 18. ლუკ ჩარტერისი, 19. ჯასტინ ტიპურიჩი, 20. რის ვები, 21. ჯეიმზ ჰუკი, 22. სკოტ ვილიამსი.

**ახალი ზელანდია-ირლანდია**

**ახალი ზელანდია:** 15. იზრაელ დაგი, 14. ბენ სმიტი, 13. კონრად სმიტი, 12. სონი ბილ ვილიამსი, 11. ჰოსე გეარი, 10. აარონ კრადენი, 9. აარონ სმიტი. 1. ტონი ვუდკოქი, 2. ენდრიუ ჰორი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სამუელ ვაითლოქი, 6. ლიამ მესამი, 7. სემ კენი, 8. რიჩი მაქოა.

16. კევინ მეალამუ, 17. ბენ ფრენქსი, 18. ბრედლი რეტალეკი, 19. ადამ თომსონი, 20. პირი ვიპუ, 21. ბოდენ ბარეტი, 22. ტამატი ელისონი.

**ირლანდია:** 15. რობ კირნი, 14. ფერგუს მაკფოდენი, 13. ბრაიან ოდრისკოლი, 12. პედი ვოლესი, 11. ქის ირლზი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. კონორ მურეი. 1. კიან ჰილი, 2. რორი ბესტი, 3. მაიკ როსი, 4. დენ ტაუი, 5. დონჩა რაიანი, 6. კევინ მაგკუჰინი, 7. შონ ობრაიანი, 8. პიტერ ომაჰონი.

16. შონ კრონინი, 17. დიკლანი ფიცპატრიკი, 18. დონჩა ოკალაჰანი, 19. კრის ჰენრი, 20. ეუან რედანი, 21. რონან ოგარა, 22. ენდრიუ ტრიმბლი.

საქართველოს ნაკრები

# ბორჯღალოსნებმა ნეკერჩხალს ფოთლები უნდა გააცალონ

**საქართველოს ნაკრები ხვალ ღამის პირველ საათზე, ვანკუვერთან ახლოს, ქალაქ ბარნაბიში კანადის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნები" ბრიტანულ კოლუმბიაში ექვსი დღეა, იმყოფებიან და გასულ უქმეებზე აშშ-ს ნაკრებთან მარცხის შემდეგ „ნეკერჩხლის ფოთლებთან" წარმატებით თამაშისთვის ინტენსიურად ემზადებიან.**

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. შერკინებაში **გიორგი ჩხაიძე** მეორე ხაზში გადაიყვანა, მესამე ხაზში რვა ნომრის პოზიცია კი ახალგაზრდა **ბექა ბიწაძემ** დაიკავა. „ბორჯღალოსნებს" საფრანგეთიდან დაემატა „მასის" მესამეხაზელი **შალვა სუთიაშვილი**, რომელიც ჰეიგმა თადარიგში დააყენა.

ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს „არმიას" მესამეხაზელი **გიორგი თხილაიშვილი**, მის პოზიციაზე მოასპარეზე **გივი ბერიშვილმა** კი სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

ცვლილებებია უკანა ხაზშიც. 20-წლამდელთა ნაკრებს დაუბრუნდა შუამარბი **მერაბ შარიქაძე**, მის ნაცვლად კანადელების წინააღმდეგ გამოცდილი **თედო ზიბზიბაძე** ითამაშებს. სათადარიგოთა შორის იქნება „ლელოს" გარემარბი **ალექსანდრე თოდუა**, რომელსაც თანაკლუბელი **ლექსო გუგავა შეცვლის**. ასევე ლელოელები არიან ფულ ბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** და **ლაშა ხმალაძე**. ყიასაშვილი, რომელიც აშშ-სთან მატჩში სათადარიგო იყო, ამჯერად ძირითად შემადგენლობაშია, ხმალაძე კი განაცხადში არ არის.

იტალიის ნაკრებთან მატჩის შემდეგ, რამდენიმე ცვლილება მოხდა კანადის გუნდშიცტრავმირებული პირველხაზელის **იუბერ ბუდენსის** ნაცვლად **ტომ დოლეზელი** ითამაშებს. ადგილები გაცვალეს შერკინების კვაჭებმა - **ენდრიუ ტიდმანი** თადარიგში გადაინაცვლებს, მის ადგილს კი **მაიკ პიტჩი** დაიკავებს.

**კანადა-საქართველო**

**კანადა:** 15. ჯეიმზ პიტჩარდი, 14. დი ტი ეიჩ ფან დერ მერვე, 13. კონორ ტრაინორი, 12. ფილ მაკენზი, 11. შონ დუკი, 10. მეთ ევანსი, 9. ედვარდ ფაირჰორსტი. 1. ტომ დოლეზელი, 2. ენდრიუ ტიდმანი, 3. ჯეისონ მარშალი, 4. ჯო სინკლერი, 5. ტაილერ ჰოტსონი, 6. ტაილერ არდრონი, 7. ჩონსი ოტული, 8. აარონ კარპენტერი.

16. მაიკ პიტჩი, 17. დაგ ვილდრიჯი, 18. ბრეტ ბუკებუმი, 19. ნანიაკ დალა, 20. სონ ვაითი, 21. ჯო ჰესლერი, 22. კირან ჰირნი.

**საქართველო:** 15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. თედო ზიბზიბაძე, 11. ლექსო გუგავა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. რევაზ ბელქანია, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. ვახტანგ მაისურაძე, 6. გია ლაბაძე, 7. გიორგი თხილაიშვილი, 8. ბექა ბიწაძე.

16. შალვა მამუკაშვილი, 17. ლევან ჩილაჩავა. 18. შალვა სუთიაშვილი, 19. გივი ბერიშვილი, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. ალექსანდრე თოდუა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2012

# პირველი წრიდანვე საინტერესო

## უიმბლდონის წილისყრამ ბევრი ინტრიგა გვაჩუქა

გუშინ ლონდონში გაიმართა უიმბლდონის წილისყრა. ამ ტურნირს განთესვის საკუთარი ფორმულა გააჩნია, თუმცა ამ სეზონში ძირითად რეიტინგთან განსაკუთრებული ცდომილება არ დაფიქსირებულა. გარდა ამისა, უიმბლდონის კიდევ ერთი უნიკალურობა ის არის, რომ კვალიფიკაცია ადრე სრულდება და უკვე ყველამ იცის თავისი მეტოქე პირველ წრეში.

ტრადიციულად, მამაკაცთა ბადეში ძირითადი ინტრიგა ის არის, თუ სად მოხვდებიან მესამე და მეოთხე ნომრები. ისევე როგორც როლან გაროსზე, ამჯერადაც **როჯერ ფედერერი ნოვაკ ჯოკოვიჩის** ნახევარში მოხვდა. ახლა პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ყველაფერი შვეიცარიელის ხელშია, რადგან უიმბლდონის მოგების შემთხვევაში ლეგენდას პირველ საფეხურზე დაბრუნების შანსი აქვს, ოღონდ ამისთვის აუცილებელია, რომ ჯოკოვიჩი ნახევარფინალზე შორს არ წავიდეს. და ახლა, როცა როჯერი ბადეში სერბის მხარეს მოხვდა, თავად აქვს ნოვაკის შეჩერების შანსი.

თუ ფედერერი ჯოკოვიჩს გადაეყარა, შესაბამისად, ადგილობრივი პუბლიკის კერპი **ენდი მიურეი** ბადის მეორე ნახევარში **რაფაელ ნადალისკენ** წავიდა.

■ ■ ■

რაც შეეხება ხუთიდან რვა ნომრამდე განთესილებს, ამ ჯგუფში ყველაზე სახიფათოა შარშანდელი ნახევარფინალისტი **ჟო-ვილფრიდ ცონგა.** ფრანგი რაფაელ ნადალის მეოთხედში მოხვდა. ისინი მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ ბალახის საფარზე და 2011 წელს ლონდონში ცონგამ მოიგო. მიურეის ისევ **დავიდ ფერერის** ოთხეულში ვხედავთ, თუმცა ამ საფარზე ენდის უფრო **მილოშ რაონიჩისა** უნდა ეშინოდეს, რომელსაც, სავარაუდოდ, მესამე წრეში შეხვდება.

ფედერერის მეოთხედში მოხვდა **იანკო ტიპსარევიჩი**, თუმცა სერბს ბოლო სამ უიმბლდონზე მხოლოდ ერთი მატჩი აქვს მოგებული. როჯერისთვის ბალახზე უფრო სახიფათო კონკურენტი **ჯონ ისნერი** იქნება. საინტერესოა, რომ ჯონმა მეორე წრეში, შესაძლოა, ზედიზედ მესამედ ითამაშოს **ნიკოლა მაუს** წინააღმდეგ. ორი წლის წინ მათ სამდღიანი მარათონი მოაწყვეს, 2011 წელს ჯონმა უფრო იოლად მოიგო.

შესაბამისად, ჯოკოვიჩის ოთხეულში **ტომაშ ბერდიხს** ვხედავთ, რომელსაც ამ ტურნირზე დამარცხებული ჰყავს სერბი. თუ ტომაშს არ გავითვალისწინებთ, ჯოკოვიჩს საკმაოდ იოლი ბადე აქვს.

■ ■ ■

თუ მხოლოდ პირველ რაუნდს გადავხედავთ, იქ რამდენიმე საინტერესო მატჩს აღმოვაჩენთ. მსოფლიოს პირველ ჩოგანს ჯოკოვიჩს ყოფილი პირველი ნომერი **ხუან-კარლოს ფერერო** ელის. ესპანელისთვის ბალახი არასოდეს ყოფილა საყვარელი საფარი, თუმცა უიმბლდონზე ორჯერ გააღწია მეოთხედფინალში.

ენდი მიურეის პირველი მეტოქეა **ნიკოლაი დავიდენკო**. სხვა ნებისმიერ საფარზე ის უხერხული მოწინააღმდეგე იქნებოდა ბრიტანელისთვის, მაგრამ რუსი ბალახზე არასოდეს ბრწყინავდა და ხშირად პირველი რაუნდიდან ეთიშებოდა ბრძოლას.

შთამბეჭდავი აფიშა აქვს **ლეიტონ ჰიუიტისა** და ჟო-ვილფრიდ ცონგას შეხვედრას. ავსტრალიელს უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე დავიდენკოსა და ფერეროს. სხვა თუ არაფერი, ლეიტონს მოგებული აქვს უიმბლდონი, თუმცა ეს ათი წლის წინ მოხდა. გარდა ამისა, ტურნირის წინ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფრანგმა, შესაძლოა, განაცხადი გამოიტანოს ტურნირიდან. ახლა უკვე დანამდვილებით არის ცნობილი - ჟო ითამაშებს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ის ბოლომდე ვერ გამოჯანმრთელდა თითის მოტეხილობის შემდეგ.

ნადალი პირველ წრეში **ტომას ბელუჩის** შეხვდება. ისინი ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს „დიდი სლემის" ტურნირებზე და ბრაზილიელს სეტიც არ მოუგია, თუმცა გარკვეულ მონაკვეთებში კარგ თამაშს აჩვენებდა. თანაც ორივე მატჩი როლან გაროსზე გაიმართა.

და მხოლოდ ფედერერს ჰყავს პირველ წრეში მეტ-ნაკლებად იოლი მეტოქე - **ალბერტ რამოსი**. ესპანელმა ბოლო სეზონში სერიოზულ პროგრესს მიაღწია, TOP50-ში შეაღწია, მაგრამ უიმბლდონის ძირითად ბადეში პირველად თამაშობს.

ასე რომ, მამაკაცთა ბადემ საკმარისი ინტრიგა შემოგვთავაზა. ახლა, ისღა დაგვრჩენია, ორშაბათს დაველოდოთ. ცენტრალურ კორტზე პროგრამას, ტრადიციულად, მოქმედი ჩემპიონი გახსნის. ეს გახლავთ ნოვაკ ჯოკოვიჩი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### უიმბლდონი. კაცების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| ჯოკოვიჩი (სერ, 1) | | | | | |
| ფერერო (ესპ) | | | | | |
| ჰარისონი (აშშ) | | | | | |
| ლუ (ტაივ) | | | | | |
| ბეკერი (გერ) | | | | | |
| ბლეიკი (აშშ) | | | | | |
| სტახოვსკი (უკრ) | | | | | |
| შტეპანეკი (ჩეხ, 28) | | | | | |
| გრანოლერსი (ესპ, 24) | | | | | |
| ტროიცკი (სერ) | | | | | |
| კლიჟანი (სლოვაკ) | | | | | |
| ჩელა (არგ) | | | | | |
| შარდი (საფ) | | | | | |
| ვოლანდრი (იტა) | | | | | |
| მაიერი (არგ) | | | | | |
| მონაკო (არგ, 15) | | | | | |
| ალმაგრო (ესპ, 12) | | | | | |
| როხუსი (ბელ) | | | | | |
| რუფენი (საფ) | | | | | |
| დარცისი (ბელ) | | | | | |
| ბერლოკი (არგ) | | | | | |
| ბემელმანსი (ბელ) | | | | | |
| კამკე (გერ) | | | | | |
| გასკე (საფ, 18) | | | | | |
| ფ. მაიერი (გერ, 31) | | | | | |
| ტურსუნოვი (რუს) | | | | | |
| პეტცშნერი (გერ) | | | | | |
| კავჩიჩი (სლოვენ) | | | | | |
| ბოლელი (იტა) | | | | | |
| იანოვიჩი (პოლ) | | | | | |
| გულბისი (ლატ) | | | | | |
| ბერდიხი (ჩეხ, 6) | | | | | |
| ფედერერი (შვეიც, 3) | | | | | |
| რამოსი (ესპ) | | | | | |
| ფონინი (იტა) | | | | | |
| ლოდრა (საფ) | | | | | |
| მენენდესი (ესპ) | | | | | |
| რასელი (აშშ) | | | | | |
| მიულერი (ლუქ) | | | | | |
| ბენეტო (საფ, 29) | | | | | |
| ვერდასკო (ესპ, 17) | | | | | |
| ვანგი (ტაივ) | | | | | |
| ზემლია (სლოვენ) | | | | | |
| გუდელი (ბრიტ) | | | | | |
| მალისე (ბელ) | | | | | |
| მატოშევიჩი (ავსტრა) | | | | | |
| მატიო (საფ) | | | | | |
| სიმონი (საფ, 13) | | | | | |
| ისნერი (აშშ, 11) | | | | | |
| ფალა (კოლ) | | | | | |
| ლორენცი (იტა) | | | | | |
| მაუ (საფ) | | | | | |
| ანდრეევი (რუს) | | | | | |
| გოლდინგი (ბრიტ) | | | | | |
| ისტომინი (უზბ) | | | | | |
| სეპი (იტა, 23) | | | | | |
| იუჟნი (რუს, 26) | | | | | |
| იანგი (აშშ) | | | | | |
| სერვანტესი (ესპ) | | | | | |
| ჩიპოლა (იტა) | | | | | |
| სვიტინგი (აშშ) | | | | | |
| სტარაჩე (იტა) | | | | | |
| ნალბანდიანი (არგ) | | | | | |
| ტიფსარევიჩი (სერ, 8) | | | | | |



ნოვაკ ჯოკოვიჩი

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ფერერი (ესპ, 7) |
| | | | | | ბრაუნი (გერ) |
| | | | | | დე შეპერი (საფ) |
| | | | | | ბახინგერი (გერ) |
| | | | | | ოდესნიკი (აშშ) |
| | | | | | ფაუ (გერ) |
| | | | | | ბეიკერი (ბრიტ) |
| | | | | | როდიკი (აშშ, 30) |
| | | | | | ნიშიკორი (იაპ, 19) |
| | | | | | კუკუშკინი (ყაზ) |
| | | | | | კუზნეცოვი (რუს) |
| | | | | | სერა (საფ) |
| | | | | | სოედა (იაპ) |
| | | | | | კუნიცინი (რუს) |
| | | | | | ჰაასე (ჰოლ) |
| | | | | | დელ პოტრო (არგ, 9) |
| | | | | | ჩილიჩი (ხორ, 16) |
| | | | | | შტებე (გერ) |
| | | | | | იტო (იაპ) |
| | | | | | კუბოტი (პოლ) |
| | | | | | პოსპიშილი (კან) |
| | | | | | კუერი (აშშ) |
| | | | | | ხირალდო (კოლ) |
| | | | | | რაონიჩი (კან, 21) |
| | | | | | ანდერსონი (ს. აფრ, 32) |
| | | | | | დიმიტროვი (ბულ) |
| | | | | | მონტანიესი (ესპ) |
| | | | | | ბაღდატისი (კვიპ) |
| | | | | | კარლოვიჩი (ხორ) |
| | | | | | სელა (ისრ) |
| | | | | | დავიდენკო (რუს) |
| | | | | | მიურეი (ბრიტ, 4) |
| | | | | | ცონგა (საფ, 5) |
| | | | | | ჰიუიტი (ავსტრა) |
| | | | | | როჯე-ვასელენი (საფ) |
| | | | | | გარსია ლოპესი (ესპ) |
| | | | | | ლაჩკო (სლოვაკ) |
| | | | | | უნგური (რუმ) |
| | | | | | მელცერი (ავსტრია) |
| | | | | | ვავრინკა (შვეიც, 25) |
| | | | | | ტომიჩი (ავსტრა, 20) |
| | | | | | გოფენი (ბელ) |
| | | | | | ლევინი (აშშ) |
| | | | | | ბეკი (სლოვაკ) |
| | | | | | უორდი (ბრიტ) |
| | | | | | ანდუხარი (ესპ) |
| | | | | | რამირეს იდალგო (ესპ) |
| | | | | | ფიში (აშშ, 10) |
| | | | | | ლოპესი (ესპ, 14) |
| | | | | | ნიემინენი (ფინ) |
| | | | | | ბეიკერი (აშშ) |
| | | | | | მაშადო (პორ) |
| | | | | | ებდენი (ავსტრა) |
| | | | | | პერი (საფ) |
| | | | | | ბოგომოლოვი (რუს) |
| | | | | | დოლგოპოლოვი (უკრ, 22) |
| | | | | | კოლშრაიბერი (გერ, 27) |
| | | | | | ჰაასი (გერ) |
| | | | | | ცოპი (ესტ) |
| | | | | | ჟაზირი (ტუნ) |
| | | | | | როსოლი (ჩეხ) |
| | | | | | დოდიგი (ხორ) |
| | | | | | ბელუჩი (ბრა) |
| | | | | | ნადალი (ესპ, 2) |

**ასეთი იქნება 1/16 ფინალის წყვილები, თუ ყველა განთესილი გაივლის ორ წრეს**

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი, 1)-რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი, 28)
მარსელ გრანოლერსი (ესპანეთი, 24)-ხუან მონაკო (არგენტინა, 15)
ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი, 12)-რიშარ გასკე (საფრანგეთი, 19)
ფლორიან მაიერი (გერმანია, 31)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი, 6)

როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 3)-ჟულიან ბენეტო (საფრანგეთი, 30)
ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი, 17)-ჟილ სიმონი (საფრანგეთი, 13)
ჯონ ისნერი (აშშ, 11)-ანდრეას სეპი (იტალია, 23)
მიხაილ იუჟნი (რუსეთი, 26)-იანკო ტიფსარევიჩი (სერბეთი, 8)

დავიდ ფერერი (ესპანეთი, 7)-ენდი როდიკი (აშშ, 30)
კეი ნიშიკორი (იაპონია, 19)-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა, 9)
მარინ ჩილიჩი (ხორვატია, 16)-მილოშ რაონიჩი (კანადა, 21)
კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 32)-ენდი მიურეი (ბრიტ, 4)

ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი, 5)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 25)
ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა, 20)-მარდი ფიში (აშშ, 10)
ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი, 14)-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრაინა, 22)
ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 27)-რაფაელ ნადალი (ესპანეთი, 2)

## კალათბურთი. NBA. ფინალი




დიდი ტრიო (უეიდი, ჯეიმსი, ბოში) ამისთვის შეკრიბეს

# ეს ლებრონის ტრიუმფია!

**ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა ლებრონ ჯეიმსმა მესამე ცდაზე შეძლო საჩემპიონო ბეჭდის მოპოვება, „მაიამი" კი მეორედ გახდა NBA-ის საუკეთესო გუნდი. მან ფინალურ სერიაში ხუთ მატჩში სძლია „ოკლაჰომა-სიტის".**

დომინირება – ეს ის სიტყვაა, რომელიც ყველაზე კარგად აღწერს ფინალური სერიის მეხუთე მატჩის ხასიათს. შეხვედრის წინ ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ სტუმრად ერთი მატჩის მოსაგებად "ოკლაჰომას" ტაქტიკის შეცვლა სჭირდებოდა, თუმცა **სკოტ ბრუქსმა** არ შეცვალა სასტარტო ხუთეული და პირველივე წამებიდან გამოიყვანა თავისი "მაღლები" - **იბაკა** და **პერკინსი**. არადა, წინა მატჩებში დამტკიცდა, რომ ამგვარი ხუთეული ვერ უმკლავდებოდა ფლორიდელთა სწრაფ თამაშს.

ერთადერთი უპირატესობა, რომელიც სტუმრებს გუშინდელ მატჩში ჰქონდათ, პირველი მეოთხედის შუაში დაფიქსირდა და ის ორ ქულას უდრიდა, მაგრამ **მილერმა** და **კოულმა** ზედიზედ სამი სამქულიანით "ჰიტი" 10 ქულით გაიყვანეს წინ. თუმცა ამ სერიიდან ჩვენ ვიცით, რომ მსგავსი ჩამორჩენა არც ერთი გუნდისთვის პრობლემა არ ყოფილა. ახლაც, **დურანტის** აქტიურობით "ოკლაჰომა" 4-5 ქულით უახლოვდებოდა მეტოქეს და ერთი მინი-სპურტი სჭირდებოდა წონასწორობის ალსადგენად, მაგრამ ეს გაქცევა ვერცერთხელ ვერ ვიხილეთ. რაც დრო გადიოდა, "მძიმე" "ოკლაჰომას" სულ უფრო უჭირდა ბურთის დევნა, რითაც ფლორიდელი სნაიპერები იოლად იხსნებოდნენ სამწამიანის ხაზთან. მთელი მატჩის განმავლობაში "ჰიტმა" 14 სამქულიანი გამოიყენა, რითაც NBA-ის ფინალური სერიის რეკორდი გაიმეორა. შვიდი სამქულიანი იყო მილერის ანგარიშზე.

"ოკლაჰომამ" ვერ გააკეთა საჭირო დასკვნები წინა მატჩიდან და აგრძელებდა ლებრონის აქტიურ პრესინგს, რითაც სხვა მოთამაშეები იოლად იხსნებოდნენ. ჯეიმსიც მათ უხვად ამარაგებდა გადაცემებით. ლებრონმა 13 შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში (ის მეორეა **მაიკლ ჯორდანის** შემდეგ, ვინც ფინალური სერიის ზედიზედ ორ მატჩში დააგროვა 20-ზე მეტი ქულა და 12-ზე მეტი პასი) და აქედან რვამ "მაიამი" ზუსტ სამქულიანამდე მიიყვანა. გარდა ამისა, 11-მა მოხსნამ ჯეიმსს ფინალურ სერიაში მეორე სამმაგი დუბლი შეასრულებინა. აქამდე, მხოლოდ **მეჯიქ ჯონსონს** ჰქონდა ერთზე მეტი ტრიპლ-დაბლი ფინალებში. და კიდევ, ლებრონი ფინალური სერიის MVP (ეს ტიტული მატჩის შემდეგ ერთხმად მიანიჭეს) გახდა და შესაბამისად, ის არის მეოთხე მოთამაშე ისტორიაში, ვინც ერთ სეზონში რეგულარული ჩემპიონატისა და ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშის სახელი დაისაკუთრა (ორჯერ ეს გააკეთა ჯორდანმა, თითოჯერ **ო'ნილმა** და **რიდმა**).

მესამე მეოთხედის სტარტზე "ოკლაჰომას" 10-ქულიანი ჩამორჩენა მეტ-ნაკლებად მისაღები იყო, მაგრამ ამ 12-წუთეულის შუაში "თანდერი" უბრალოდ გაჩერდა როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. უკვე მაშინ გახდა ცხადი, რომ სტუმრებისგან სასწაული მოსალოდნელი არ იყო. "თანდერმა" კაპიტულაცია საფინალო სირენამდე ხუთი წუთით ადრე გამოაცხადა, როცა დურანტისა და **უესტბრუკის** ნაცვლად მოედანზე სათადარიგოები - **კუკი** და **ოლდრიჩი** შემოვიდნენ. "მაიამის" ვარსკვლავები კიდევ წუთ-ნახევარი დარჩნენ მოედანზე და შემდეგ ტრიუმფის ალნიშვნა დაიწყეს.

სეზონი, რომელიც შეიძლება არ ყოფილიყო, ფენომენური ლებრონ ჯეიმსის პირველი ტიტულით დასრულდა. ერთ კვირაში NBA-ში ახალბედების დრაფტია, მანამდე კი "მაიამის" ვარსკვლავებს შეუძლიათ ოცნების ასრულება იზეიმონ.

*„მე ბედნიერი ვარ, რადგან ახლა, NBA-ში მოსვლიდან ცხრა წლის თავზე, როგორც იქნა, შემიძლია საკუთარ თავს ჩემპიონი ვუწოდო,* - ბედნიერებისგან ბრწყინავდა მატჩის შემდეგ ლებრონი. - *ამისთვის უდიდესი ძალისხმევა დამჭირდა, ბოლომდე დავიხარჯე მიზნის მისაღწევად. როცა ასე ცდილობ, ყოველთვის გამარჯვებული გამოხვალ".*

*„ეს მტკივნეულია,* - მწუხარებას ვერ ფარავდა დურანტი. - *ამ გუნდში ყველანი ძმებივით ვართ და ჩვენთვის მძიმეა სეზონის ასე დასრულება. ფინალამდე მივაღწიეთ და ეს დიდი ამბავია, მაგრამ ამაზე გაჩერება არ გვინდოდა".*

დურანტს ყველაფერი წინ აქვს. ის ახალგაზრდაა და მის გარშემო „ოკლაჰომაში" ახალგაზრდა ვარსკვლავები არიან შეკრებილნი: რასელ უესტბრუკი, სერჟ იბაკა, ჯეიმს ჰარდენი, რომლებსაც ჯერ 24 წელი არ შესრულებიათ. მათი დრო აუცილებლად მოვა...

მანამდე კი ლებრონის ტრიუმფის ჟამია!

### საგულისხმო სტატისტიკა

ლებრონ ჯეიმსი პირველი მოთამაშეა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, ვინც სეზონის MVP-ის ტიტულის მიღების შემდეგ, NBA-ის ჩემპიონატი მოიგო. ბოლოს ასეთი რამ "სან ანტონიოს" ლეგენდამ **ტიმ დანკანმა** გააკეთა 2002-03 წლების სეზონში.

■ ■ ■

ლებრონმა 26 ქულა, 11 მოხსნა და 13 შედეგიანი პასი დააგროვა ჩემპიონის ტიტულის მომტან მატჩში. ჯეიმსი მეხუთე მოთამაშეა NBA-ის ისტორიაში, ვინც გადამწყვეტ შეხვედრაში სამმაგი დუბლი შეასრულა. თითოჯერ ეს გააკეთეს **ტიმ დანკანმა** (2003), **ჯეიმს უორთიმ** (1988) და **ლარი ბერდმა** (1986), ორჯერ - **მეჯიქ ჯონსონმა** (1982, 1985).

■ ■ ■

**მაიკ მილერმა** შვიდი სამქულიანით დაასრულა შეხვედრა. NBA-ის ფინალურ მატჩებში სათადარიგო მოთამაშეს ამდენი შორეული ტყორცნა არასოდეს ჩაუგდია. წინა რეკორდი "ლეიკერსის" მოთამაშეს **მაიკლ კუპერს** ეკუთვნოდა, რომელმაც 1987 წლის ფინალის მეორე მატჩში ექვსი სამქულიანი მოათავსა კალათში.

■ ■ ■

"მაიამიმ" ისე მოიგო ჩემპიონობა, რომ ბოლო სამი სერიის ("ინდიანასთან", "ბოსტონთან", "ოკლაჰომასთან") მსვლელობისას მდევრის როლში იყო. აქამდე NBA-ის ჩემპიონი ასეთ სიტუაციაში არასოდეს ყოფილა. 1979 წელს "სიეტლი"აგებდა ნახევარფინალსა და ფინალს და შემდეგ მაინც გახდა ჩემპიონი.

**მაიამი–ოკლაჰომა 121:106**

**31:26, 28:23, 36:22, 26:35**

**მ:** ჯეიმსი (26+13 პასი+11 მოხსნა+2 დაფარება), ბოში (24+7 მოხსნა+2 დაფარება), მილერი (23+5 მოხსნა), უეიდი (20+8 მოხსნა+3 დაფარება+3 პასი), ბატიე (11), ჩელმერსი (10+7 პასი), კოული (3), ჰარისი (3), ჰასლემი (1).

**ო:** დურანტი (32+11 მოხსნა+3 პასი), უესტბრუკი (19+6 პასი), ჰარდენი (19+5 პასი), ფიშერი (11+3 პასი), იბაკა (9+2 დაფარება), აივი (6), კოლისონი (2), კუკი (2), ოლდრიჩი (2), პერკინსი (2), ჰეივორდი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (51.9/41.4), სამქულიანები (53.8/39.3), საჯარიმოები (81.8/88.5).

**სერია:** 4-1

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ბრინი-სანდნესი | 0:8 |
| ლინგენი-კიოლნი | 0:5 |
| პრინსი-ლუცერნი | 0:6 |
| მატერსბურგი-ბისტრიცა | 1:1 |
| ჟილინა-რიდი | 0:1 |
| ვაველი-ლიერსი | 1:7 |
| **ირლანდია** | |
| კორკი-დერი | 2:2 |
| დროგედა-ბრეი | 3:1 |
| სტ. პატსი-ბოჰემიანსი | 2:1 |
| უნივერსიტი-დანდალკი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-უოტერფორდი | 1:4 |
| ფინ ჰარპსი-ლონდგფორდი | 1:3 |
| ლიმერიკი-უექსფორდი | 4:0 |
| მერვუ-გალვეი | 1:2 |

| არგენტინა | |
|---|---|
| ოლიმპო-არგ. ხუნიორსი | 0:0 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ისტბურნი** | |
| მატოშევიჩი-დარსისი | 2:6, 6:7 |
| ფონინი-როდიკი | 3:6, 6:3, 5:7 |
| კოლშრაიბერი-სეპი | 5:7, 1:2 უარი |
| ჰარისონი-ისტომინი | 7:6, 6:4 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| პეტცშნერი-მალისე | 7:5, 7:5 |
| ფერერი-პერი | 7:6, 3:6, 6:1 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| პაჩეკი-ბარტოლი | 4:6, 7:5, 6:4 |
| ზანოპალოვა-კერბერი | 0:6, 3:6 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ფლიპკენსი-ვინჩი | 6:4, 7:6 |
| უ. რადვანსკა-კლაისტერსი | უარი |

## TV პროგრამა

### 23 ივნისი. შაბათი

**I არხი**

**22:45** ფეხბურთი. ევრო 2012. 1/4 ფინალი. ესპანეთი-საფრანგეთი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
**12:00** პროგრამა - სპორტული კალეიდოსკოპი.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ნაპოლი.
**16:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**17:00** გერმანიის ჩემპიონატი. გლადბახი-ბაიერნი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.
**21:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია.
**23:00** გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-მაინცი.
**01:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ნიცა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ჩეზენა.
**12:00** NBA Action.
**12:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. ოკლაჰომა-მაიამი.
**15:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**16:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ქუინზ პარკი-მანჩესტერ იუნ.
**18:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ლენსტერი-მონპელიე.
**20:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**20:45** კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ცსკა-პანათინაიკოსი. სტამბოლი. თურქეთი.
**22:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. ოკლაჰომა-მაიამი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**13:40** რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-შოტლანდია.
**15:40** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**18:40** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**22:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.

### 24 ივნისი. კვირა

**I არხი**

**22:45** ფეხბურთი. ევრო 2012. 1/4 ფინალი. ინგლისი-იტალია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ნიცა.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. ფულემი-მანჩესტერ იუნ.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-უდინეზე.
**20:00** გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კალიარი.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:30** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-მაინცი.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კიოლნი.
**17:30** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. კლერმონი-ალსტერი.
**19:30** კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". ფინალი. ცსკა-ოლიმპიაკოსი. სტამბოლი. თურქეთი.
**22:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტური. არსენალი-ბელგრანო (LIVE).
**00:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-საფრანგეთი.
**12:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. ქალები. ლონდონი. ინგლისი.
**13:50** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**19:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-ირლანდია.
**21:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 32 | (მზე) |
| ქუთაისი | 21 | 31 | (მზე) |
| ბათუმი | 19 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 20 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 19 | 30 | (მზე) |
| გორი | 13 | 30 | (მზე) |
| თელავი | 17 | 30 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 16 | 29 | (მზე) |
| ქობულეთი | 18 | 28 | (მზე) |
| ბაკურიანი | 8 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 11 | 29 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 8 | 27 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0704 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6340 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5669 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9658 |

## კალათბურთი

# ესპანეთი ნავაროს კარგავს

ლონდონის ოლიმპიადაზე, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეექმნას მამაკაცთა საკალათბურთო ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს ესპანეთის ნაკრებს. კერძოდ, შარშანდელი ევრობასკეტის საუკეთესო მოთამაშე **ხუან კარლოს ნავარო**, რომელიც ამ სეზონის ბოლოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს განიცდიდა, სავარაუდოდ, ბევრ სათამაშო დროს ვერ მიიღებს ლონდონის ოლიმპიადაზე.

*"ნავარო მთელი სეზონი ტრავმებს ებრძოდა და ესპანეთის ჩემპიონატის პლეი ოფში არ იყო ოპტიმალურ ფორმაში. იმედია, დასვენებისა და სპეციალური პროცედურების გავლის შემდეგ, ის მაინც შეძლებს ოლიმპიადაზე გამგზავრებას, რადგან გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. მაგრამ თუ ყველაფერი გეგმის გარეშე არ წავა, მომიწევს ექიმების ვერდიქტთან შერიგება"*, - განაცხადა ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სერჯო სკარიოლომ**.

გარკვეულ ეჭვს იწვევს აგრეთვე **რუდი ფერნანდესის** მდგომარეობა, რომელიც ზურგზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ აღდგენით კურსს გადის.

*"ის პირველი დღიდან დაიწყებს გუნდთან ერთად შეკრებას, სადაც პარალელურად ოპტიმალურ ფორმას აღიდგენს. ჩვენ ამაში დავეხმარებით"*, - ამბობს სკარიოლო.

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2012

# საღამო დიდი ბრძოლების წინ

გუშინ ლონდონში ტრადიციული საღამო გაიმართა, რომელიც წინ უძღვის ხოლმე უიმბლდონის ტურნირს. საღამოს კაბებში გამოწყობილი ჩოგბურთელები სულ სხვა სახით ჩნდებიან საკუთარი გულშემატკივრების წინაშე... ამ მხრივ ვის უფრო მეტი გულშემატკივარი ჰყავს, ამის გარჩევა თქვენთვის მოგვინდია...


მარია შარაპოვა


ანა ივანოვიჩი


კაროლინ ვოზნიაცკი


საბინ ლისიცკი


სორანა კირსტეა


ელენა ვესნინა


პეტრა კვიტოვა


ანასტასია როდიონოვა


დები უილიამსები

## კიმს ისევ ტრავმა აქვს

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ბელგიელ **კიმ კლაისტერსს** ისევ შეექმნა პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ ეს ჩოგბურთელი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ჰერტოგენბოშის ტურნირზე დაუბრუნდა პროფესიულ ტურს და იქ ნახევარფინალამდე გააღწია, მაგრამ გუშინ კიმმა უარი თქვა კორტზე გასვლაზე.

როგორც კლაისტერსმა განაცხადა, მან ბოლო მატჩში მუცლის კუნთი დაიჭიმა და უიმბლდონზე გამოსვლა ეჭვქვეშ რომ არ დაეყენებინა, ჰერტოგენბოშის დატოვება გადაწყვიტა.

გუშინ გამართული წილისყრის მიხედვით, კიმი უიმბლდონის პირველ წრეში მე-18 ნომრად განთესილ **ელენა იანკოვიჩს** შეხვდება.

■ ■ ■

ცოტა ხნის წინ ვწერდით იმის შესახებ, რომ 34 წლის ფრანგმა ჩოგბურთელმა **არნო კლემანმა** ოფიციალურად დაასრულა მოთამაშის კარიერა. თუმცა საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ მალე გამოუნახა საქმე ვეტერანს. კლემანი დევისის



თასზე ქვეყნის მამაკაცთა ნაკრების კაპიტანი გახდა. მან ამ პოსტზე შეცვალა 47 წლის **გი ფორჟე**, რომელიც ეროვნულ გუნდს 1999 წლიდან ავარჯიშებდა.

*"ვამაყობ, რომ მოთამაშეებისა და ფედერაციისგან მხარდაჭერა მივიღე. ეს დიდი პატივი და სერიოზული გამოცდაა ჩემთვის. ბუნებრივია, ჩემი მთავარი მიზანი დევისის თასის მოგებაა"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა თავის დანიშვნას კლემანმა.

## მზადება მარბელიაში

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი** კი უიმბლდონის წინ ესპანეთში დაბრუნდა და კურორტ მარბელიაზე თავის გერლფრენდთან - **მარია ფრანსისკა პერელიოსთან** ერთად მაქსიმალურად კარგი განწყობა შეიქმნა "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირის დაწყებამდე.



მარია და რაფაელი

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012


მიშელ ობამა

## ამერიკა მიშელ ობამას ჩააბარეს

ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას სათავეში ჩაუდგება ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლე **მიშელ ობამა**. ამის შესახებ გამოაცხადა თეთრი სახლის პრესსამსახურმა.

დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შევლენ გასული წლების ოლიმპიური ჩემპიონები, მაგალითად, ცნობილი კალათბურთელი **გრანტ ჰილი**, რომელმაც ატლანტას ოლიმპიადაზე მოიპოვა ოქროს მედალი; აგრეთვე მოცურავე **სამერ სანდერსი**, ვინც 1992 წელს ბარსელონაში ორი ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო მიიღო.

*"ჩვენ წარმოვადგენთ ლონდონში ყველაფერ საუკეთესოს, რაც ჩვენს ქვეყანაში არსებობს"*, - განაცხადა მიშელ ობამამ, რომელმაც დაამატა, რომ *"ოლიმპიელები და პარალიმპიელები - ამერიკის ნამდვილი გმირები არიან და მათ უნდა მიბაძოს ამერიკის ახალგაზრდობამ"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608